ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლომი

№161 (12 231)

11 ივლისი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ოლიმპი, დინამო და ამერი ევროტურნირების წინ

## ქართულმა გუნდებმა განაცხადები წარადგინეს 2

## კანდელაკსა და სეთურიძეს დღეს ივნაში ელოდებიან 3

# მარკოიშვილი კიევში გადავიდა

უკრაინული "ბ.კ. კიევის" ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ: "ჩვენი გუნდი ქართველი ფორვარდით, მანუჩარ მარკოიშვილით გაძლიერდა. იგი "ბკ კიევში" მწვრთნელის, ტომო მაჰორიჩის მონვევით გადმოვიდა და კლუბს ულების თასსა და უკრაინის ჩემპიონატში დაეხმარება.

გასულ სეზონში მარკოიშვილი სლოვენიის "ოლიმპიასთან" ერთად ევროლიგაზე თამაშობდა, საშუალოდ 1086 ქულას, 2.9 მოხსნასა და 1.4 პასს აგროვებდა. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად მანუ იტალიის ჩემპიონია ("ბენეტონთან" ერთად), ხოლო 2005 და 2006 წლებში სლოვენიის პირველობა მოიგო".

ასე რომ, სამედიცინო შემოწმების ნარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მარკოიშვილი გაისად "ბკ. კიევში" ითამაშებს. ეს გუნდი ყველაზე უკეთ რუსთაველებს ემახსოვრებათ - 1999 წელს "აზოტმა" კორაჩის თასზე მომდევნო ეტაპის საგზური სნორედ კიეველებს დაუთმო.

მანუს ახალი კლუბი ბოლო სამ სეზონში ორჯერ გახდა უკრაინის ჩემპიონი - 2005 და 2007 წლებში, ხოლო 2005-ში ფიბას ევროლიგის ფინალში ითამაშა.

მკითხველს, ალბათ, თავად მარკოიშვილის კომენტარიც დააინტერესებს:

- "კიევში" მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა მიმინვია, რომლის ხელმძღვანელობით შარშანდელი სეზონი "ოლიმპიაში" დავიწყე. უკრაინაში ნასვლაზე ბევრი ვიფიქრე და კიევში თამაში რომ გადავწყვიტე, გარკვეულწილად, მწვრთნელის დამსახურებაა. მაჰორიჩი ხომ კარგად იცნობს ჩემს შესაძლებლობებს. ამასთან, "ბკ. კიევი" ქვეყნის ჩემპიონი გახდა და ახალი სეზონიდან ულების თასზე ითამაშებს.

**- კონტრაქტი რა ვადიანია?**

- მოვლენები ძალიან სწრაფად განვითარდა და ჩემი უკრაინაში გადასვლა მანამდე გახმაურდა, ვიდრე ოფიციალურ კონტრაქტს გავაფორმებდი. შევთანხმდით, რომ ახალ გუნდში ორ სეზონს დავრჩები. ხელშეკრულება კი საბოლოო სახეს მას შემდეგ მიიღებს, რაც უკრაინაში გავფრინდები და სამედიცინო შემოწმებას გავივლი. როდის წავალ, ჯერ არ ვიცი.

**- ტრავმა საბოლოოდ მოიშუშე?**

- ფეხის აღდგენის პროცესი ნორმალურად მიდის, მაგრამ არა იმ სიჩქარით, როგორც თავიდან მეგონა. ბოლომდე მოშუშებული არ არის, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი ძალიან მანუხებს-მეთქი. რაც მთავარია, ვარჯიში უკვე დავიწყე.

ვაჟა სიმონიშვილი

# პერიმეტრი გადავთხარეთ, მაგრამ მაინც წავაგეთ

10 ივლისი, ნოვა გორიცა (სლოვენია)

**საქართველო-ისრაელი 74:81**

15:27, 15:16, 24:21, 20:17

| საქართველო | წთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გაფრინდაშვილი | 16 | 8 | 1 | 3 | 0 | 0 | 2 |
| დიდია | 30 | 13 | 3 | 2 | 0 | 0 | 1 |
| ჟოჟუა | 32 | 5 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 |
| ფარფლავა | 36 | 14 | 4 | 2 | 1 | 0 | 3 |
| ბერაგაძინი | 25 | 10 | 6 | 2 | 0 | 1 | 0 |
| წიფლიანაძ | 7 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 2 |
| ცაცანავა | 19 | 6 | 4 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ლაფანაშვილი | 5 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 |
| მაღლაფერიძე | 15 | 11 | 9 | 0 | 0 | 1 | 1 |
| ბერიშვილი | 14 | 7 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 |

| ისრაელი | წთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ასაფი | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ჯუტნიკი | 9 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ბატლეინი | 28 | 6 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ასანტე | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ბეკერი | 28 | 1 | 3 | 5 | 0 | 0 | 2 |
| დუნი | 22 | 15 | 6 | 0 | 1 | 0 | 1 |
| კადირი | 21 | 16 | 9 | 2 | 0 | 1 | 1 |
| ოფაიონი | 34 | 23 | 2 | 6 | 3 | 0 | 3 |
| კასპი | 29 | 14 | 5 | 2 | 2 | 0 | 1 |
| არიე | 20 | 4 | 7 | 1 | 1 | 0 | 1 |

გუშინ საღამოს საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ისრაელთან 74:81 წააგო და ნახევარფინალში გასვლის თეორიული შანსიც დაკარგა. თუმცა ამ მარცხის გამო ჩვენიანების გაკიცხვა აზრად არავის მოუვა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მათ მიზანს უკვე მიაღწიეს, A ლიგაში ადგილი შეინარჩუნეს. მეორეც - ისრაელს ძლიერი გუნდი ჰყავს და მასთან თანაბრად თამაში ახლადშეკრებილი კოლექტივისთვის საპატიო უნდა იყოს.

კატასტროფულად ჩატარებული პირველი წუთების შემდეგ (2:14 - ისრაელის სასარგებლოდ) **დავით უსტიაშვილის** გუნდმა გონს მოსვლა მოახერხა, აქცენტი პერიმეტრიდან ტყორცნებზე გადაიტანა და დაცვაში თამაშიც გამოასწორა. პირველივე ტაიმში აშკარად გამოჩნდა, რომ ჩვენიანებს მიზნად ებრაელთა სნაიპერის **ომრი კასპის** შეჩერება ჰქონდათ დასახული. მსროლელებმა ამ საქმეს თავი კარგად გაართვეს, მაგრამ ვიდრე კასპის შებოჭვაზე ზრუნავდნენ გაილაღეს **დანმ, კადირმა** და **ოჰაიონმა.** მეტოქე სნორედ მათი წყალობით ინარჩუნებდა 10-ქულიან ჰანდიკაპს. მეოთხე პერიოდის წინ ისრაელი 64:54-ს იგებდა.

ბოლო რაუნდში ქართველებმა გადამწყვეტი იერიში მიიტანეს, **ფარლალავასა** და **დიდიას** 5 ქულის წყალობით სხვაობა 5 ქულამდე შეამცირეს (63:68). ორიოდე წუთში იმავე ფარლალავამ ჯერ სამქულიანი ჩააგდო, შემდეგ სამიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა და - 70:72. გადასასწრებად ქართველებს ორწუთნახევარი რჩებოდათ, მაგრამ დარჩენილ დროში საბოლოო შტურმისთვის ძალა არ ეყოთ.

მაგჩის ოქმში ჩახედვა საკმარისია იმის დასანახად, რომ დავით უსტიაშვილის გუნდს მთავარ იარაღად სამქულიანი ტყორცნები ჰქონდა: ახალგაზრ ებმა 30 ტყორცნა შეასრულეს და 9 გამოიყენეს. ებრაელებმა კი პერიმეტრიდან ორჯერ ნაკლებიისროლეს. ასეთივე სხვაობა დაფიქსირდა ახლო მანძილიდან ტყორცნებში, ოღონდ ისრაელის სასარგებლოდ - მეტოქემ 49 ორქულიანიდან 26 გამოიყენა, ხოლო საქართველოს ნაკრებმა 29-დან - 13.

დღეს, 20:45 ქართველები ტურნირის ფავორიტ ესპანეთს დაუპირისპირდებიან. პირველი ჯგუფური ეტაპი პირენეელებმა დაუმარცხებლად გაიარეს. ჯერ ხორვატიას 88:69 აჯობეს, მერე მაკედონიას - 93:60, ბოლოს ისრაელს - 77:73.

ევროპის ჩემპიონატზე ესპანეთი ერთ-ერთი ყველაზე შეკრული გუნდი რომ არის, ამას ისიც მოწმობს, რომ ამჟამინდელი შემადგენლობიდან ხუთი საუკეთესო **რეი, რიბასი, ფერნანდესი,** ლული და **სანჩესი** ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატზე შარშანაც თამაშობდნენ. ამასთან, არ უნდა დავივიწყდეს, რომ ორმა კალათბურთელმა გასულ სეზონში "ბარსელონასთან" ერთად ესპანეთის ჩემპიონატის ფინალში ითამაშა, ერთი, სერჟიო ლული "რეალის" მაისურით ქვეყნის ჩემპიონი გახდა, დანარჩენები პირენეელთა პირველობაზე კლუბებში რეგულარულად თამაშობდნენ. ეს მაშინ, როცა ქართველთა უმეტესობას მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატის გამოცდილება აქვს...

ვაჟა სიმონიშვილი

**ბულგარეთი-ესპანეთი 70:91**

**იტალია-ხორვატია 82:69**

**F ჯგუფი**

| | თ | მ | ნ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 6 |
| 2. იტალია | 3 | 3 | 0 | 6 |
| 3. ისრაელი | 3 | 2 | 1 | 5 |
| 4. საქართველო | 3 | 1 | 2 | 4 |
| 5. ხორვატია | 3 | 0 | 3 | 3 |
| 6. ბულგარეთი | 3 | 0 | 3 | 3 |

www.kazbegi.com

# გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge




## აფციაური დაიმაგვეს

### კონგოელი მაროკოდან არ გამოუშვეს

რუსთავის "ოლიმპი" გუშინ, გვიან ღამით ურეკიდან თბილიში ჩამოვიდა. მოსამზადებელი ეტაპის ბოლო "გასვლითი" ეტაპი დასრულდა და გუნდი ვარჯიშს თბილისსა და რუსთავში გააგრძელებს.

ურეკში შეკრებისას რუსთაველებმა ორი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს, თბილისში კი სპარინგპარტნიორებს მთავარი მწვრთნელი **ვარლამ კილასონია** სახელდახელოდ ეძებს. მიზეზი ისაა, რომ თბილისში ახლა უმაღლესი ლიგის ბევრი გუნდი აღარაა დარჩენილი და ვინც კიდევ შემორჩა დედაქალაქს, მათთან უკვე ორ-ორჯერ ითამაშეს.

გუშინ რუსთავის "ოლიმპის" ხელმძღვანელობამ უეფაში განაცხადი გააგზავნა. ჩვენ მიერ გუშინ გამოქვეყნებულ სიასთან შედარებით, გარკვეული კორექტივების შეტანა იძულებითმა მიზეზებმა განაპირობა.

**მეკარეები: მირზა მერლანი, მიხეილ ალავიძე, გიორგი ხარშილაძე.**

**მცველები: გიორგი სეთურიძე, მიხეილ მახვილაძე, დავით ჭიჭვეიშვილი, ერნესტ აკუასაგა, გიორგი ნავალოვსკი, ლევან სილაგაძე.**

**ნახევარმცველები: ლაშა ქებაძე, გიორგი კახელიშვილი, ალექსანდრე კოშკაძე, გელა ხუბუა, რევაზ გენაძე, ვლადან ჟივკოვიჩი, თორნიკე აფციაური.**

**თავდამხმელები: ჯაბა დვალი, ვლადიმერ დვალიშვილი, რევაზ ჯიქია.**

**გიორგი სეთურიძე** განაცხადში კი არის შეყვანილი, მაგრამ ყაზახეთის ჩემპიონ "ასტანასთან" მისი თამაში გამორიცხულია. გუშინ ფეხბურთელმა გვითხრა, რომ ოთხშაბათს, დილაუთენია, გერმანიაში მიემგზავრება და იენის "კარლ ცაისთან" კონტრაქტს გააფორმებს.

განაცხადში შეიყვანეს სერბი გამთამააშებელი **ვლადან ჟივკოვიჩი,** რომელსაც ძალიან აქებენ. მას შეუძლია **თორნიკე აფციაურის** შეცვლა, რომელიც განაცხადში კი შეიყვანეს, მაგრამ დისკვალიფიკაციის გამო, პირველ ორ შეხვედრას ვერ ჩაატარებს.

სერბი ნახევარმცველი ბოლოს საბერძნეთში, "იონიკოსში" თამაშობდა, ის 26 წლისაა. ჟივკოვიჩი სამშობლოში ორი დღით დაბრუნდა, რადგან საქართველოში არც ტანსაცმელი ჩამოუტანია და არც სხვა საჭირო ნივთები. წესით, სერბი ნახევარმცველი თბილისში ორიოდე დღეში უნდა დაბრუნდეს.

სხვათა შორის, ის ურეკიდან ბათუმში რომ გაასეირნეს, გაიხსენა, რომ წლების წინ ბათუმის " დინამოსთან" ითამაშა, მაშინ ძალიან პატარა იყო.

დაბოლოს, ხვალ, დილის 10 საათზე, რუსთავში, უეფას წარმომადგენელ **ტიერი ფავრის** ელიან, რომელმაც საბოლოო დიაგნოზი უნდა დასვას - შეუძლია "ოლიმპს" მშობლირ ქალაქში თამაში თუ არა. საქართველოს ჩემპიონის ხელმძღვანელობა იმედიანადაა, რადგან სტადიონი გამოცდისთვის ყველა საჭირო მოთხოვნას აკმაყოფილებს.



თორნიკე აფციაური

"ოლიმპის" მწვრთნელი და ხელმძღვანელობა წუხან, რომ მაროკოულმა კლუბმა, სადაც ბოლოს კონგოელი თავდამსხმელი **მასუანგა ბოდრი ჯილდასი** თამაშობდა, სიტყვა გატეხა და გათავისუფლების ფურცელი არ გამოაგზავნა. არადა, კონგოს ნაკრების კანდიდატმა მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა - ათლეტურ და სწრაფ ჯილდასს მშვენიერი საგოლე ალღო აღმოაჩნდა. სამაგიეროდ, გაბონის ნაკრების ცენტრალური მცველი **ერნესტ აკუასაგა** განაცხადშია.

**მერაბ მამულაშვილი**

## წინამძღვრიშვილს ჩეხეთში ჭოვებენ

საქართველოს თასის ორგზის მფლობელმა თბილისის "ამერმა" გუშინ უეფაში იმ ფეხბურთელთა განაცხადი წარადგინა, წლევანდელ ევროსეზონში რომ გამოიყენებს. ამერელთა მეტოქე უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე პოლონური "ბელხატოვია". "ამერს" 24-კაციანი განაცხადი ასეა დანომრილი:

**მეკარეები: 1. ლადო ნადირაშვილი, 16. ზურაბ ქვაჩახია.**

**მცველები: 4. გიორგი ელბაქიძე, 5. გიორგი დავითნიძე, 6. დავით მჭედლიშვილი, 21. ვლადიმერ კაკაშვილი, 24. ვახტანგ ხვადაგიანი, 27. გივი დიდავა, 30. მიხეილ კობაური, 32. თენგიზ ჩიკვილაძე.**

**ნახევარმცველები: 10. გიორგი დეკანოსიძე, 13. კობა შალამბერიძე, 14. გიზო ჯელაძე, 15. გიორგი ვარდოსანიძე, 17. დავით ბოლქვაძე, 19. მიხეილ მესხი, 20. არჩილ ალავიძე, 22. გრიგოლ დოლიძე, 23. დენის დობროვოლსკი.**

**თავდამსხმელები: 7. სულიკო დავითაშვილი, 9. ბესიკ ჩიმაკაძე, 11. რატი წინამძღვრიშვილი, 18. დიმიტრი ტატანაშვილი, 33. ბაჩანა ცხადაძე.**

გუშინ უეფაში განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა კი იყო, თუმც "ამერს" კიდევ აქვს უფლება, ამ განაცხადს ოთხი ფეხბურთელი დაუმატოს. ფორმალობების გამო, ვერ მოხერხდა რუსთავის "ოლიმპიდან" წამოსული **რევაზ გოცირიძის** განაცხადში შეყვანა, მაგრამ თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მას მოგვიანებით, 19 ივლისამდე მაინც შეიყვანენ განაცხადში - იმ დღეს "ამერი" "ბელხატოვს" ესტუმრება.

"ამერი" ახლა ჯერაც ჩეხეთშია შეკრებაზე. დღეს "პლზენს" გაეჯიბრება, ხვალ კი თბილისში დაბრუნდება. რაც შეეხება ამერელთა ფორვარდ **რატი წინამძღვრიშვილს,** ის ჩეხეთში დარჩება და პრაღაში გაიკეთებს მუხლის ოპერაციას. მას მენისკის გარდა, სავარაუდოდ, ჯვარედინი იოგებიც აქვს დაზიანებული და ოპერაცია ორ ეტაპად ჩაუტარდება. რატი სარეაბილიტაციო პერიოდის გარკვეულ ნაწილსაც პრაღაში გაივლის.

**დავით თავართქილაძე**



რატი წინამძღვრიშვილი

უეფას თასის წინ. **დინამო vs ვადუცი**

## გველესიანი და გონჩაროვი განაცხადში

### ოვონო, აკირემი და ვუკუე ჯერ არა

დიდიე ოვონო დინამოს პირველმეკარეობას უმიზნებს

კვირაზე ოდნავ მეტი და უეფას თასის გათამაშება დაიწყება. მონაწილეებს განაცხადების უეფაში გასაგზავნად გუშინ ბოლო ვადა ჰქონდათ. თუმცა სიის შევსება 18 ივლისამდე შეიძლება. გუშინ, თბილისის "დინამომ" უეფაში 21 ფეხბურთელისგან შემდგარი განაცხადი გააგზავნა:

**მეკარეები: 1. გიორგი ლორია, 30. იოსებ გრიშიკაშვილი, 34. გიორგი მაკარიძე.**

**მცველები: 3. გულვარდ თომაშვილი, 5. უჩა ლობჟანიძე, 7. გურამ კაშია, 16. მიროსლავ კრშკო, 22. შოთა კაშია, 21. ოლეგ გველესიანი. 24 ნედ ზელიჩი.**

**ნახევარმცველები: 8. ლევან ხმალაძე, 10. მიხეილ ხუციშვილი, 11. გიორგი ფეიქრიშვილი, 17. გიორგი მერებაშვილი, 19. სანდრო კობახიძე, , 18. დავით ოდიკაძე, 23. ნიკოლოზ ფირცხალავა, 81. დავით დიღმელაშვილი.**

**თავდამსხმელები: 9. ილია სპასოევიჩი, 20. ბორის გონჩაროვი. 32. ზამირ ჯანაშია.**

სიაშია ვიტ ჯორჯიადან" დამატებული მარცხენაფლანგელი **ოლეგ გველესიანი,** ისევე როგორც ფორვარდი **ბორის გონჩაროვი,** რომელიც გასული სეზონში გორის "დილაში" იყო განათხოვრებული. ჩვენი ინფორმაციით, "დინამოში" გაბონის ნაკრების მეკარე **დიდიე ოვონოსა** და მისი თანამემამულე ფორვარდის, **გეორგის აკირემის** დატოვება გადაწყვეტილია. "დინამოს" ხელმძღვანელობა დადებითი აზრისაა კამერუნელ ნახევარმცველ **რაიმონ ვუკუესა** და ჩეხ მცველ **რომან დობეშზეც.**

განაცხადში ამ ფეხბურთელთა შეყვანა იმიტომ ვერ მოხერხდა, რომ ჯერჯერობით, მათი სატრანსფერო ფურცელი არ გამოუგზავნიათ.

ასე რომ, ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში "დინამოს" ხელმძღვანელობა გუნდის გაძლიერებისთვის გვარიანად გაასარჯა. კლუბის სატრანსფერო სიახლეებს მომდევნო ნომრებშიც შევეხებით.

**დავით ცაბაძე**

## ვადუცელები დინამოს კარგად იცნობენ

### მწვრთნელ ჰერმანს თბილისშიც უთამაშია



ჰაინც ჰერმანი

გუნდები უეფას თასის გათამაშებისთვის ემზადებიან და, პარალელურად, საინფორმაციო ფრონტზეც ირჯებიან, ყველანაირად ცდილობენ, მონინააღმდეგეზე რაც შეიძლება მეტი შეიტყონ. ბუნებრივია, ამ მხრივ "დინამოს" მეტოქე ლიხტენშტაინის "ვადუციც" აქტიურობს.

ინტერნეტში მოძიებული ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ "ვადუცის" მესვეურები თბილისის "დინამოს" შეკრების შესახებ საკმაო ინფორმაციას ფლობენ. ვგებულობთ, რომ ამ კლუბის ნარმომადგენლები **დუშან უჰრინის** გუნდის ამხანაგურ მატჩებს დაესწრნენ, კერძოდ, "გერა 03-თან" (7:0), "ჰაიდუკსა" (2:3) და "როტ ვაისთან" (0:1).

*"როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, "დინამომ" რამდენიმე ახალი ფეხბურთელი დაიმატა. მათ შორის, გაბონის ნაკრების მეკარე და ფორვარდი, ასევე კამერუნელი ნახევარმცველი. ჩეხური "ტრენჩინიდან" კი მცველი დობეში გადაიბირა", - ამბობს "ვადუცის" მენეჯერი ერთ-ერთ ინტერვიუში. "ვადუცის" მთავარი მწვრთნელის* **ჰაინც ჰერმანის** *საკმაოდ საინტერესო კომენტარიც მოვიძიეთ. სხვათა შორის, იგი "დინამოს" ადრეც დაპირისპირებია.*

*"დიახ, 1977-78 წლების სეზონში, ევროტურნირებზე თბილისის "დინამოს" წინააღმდეგ მითამაშია. მაშინ "გრასჰოპერსში" ვასპარეზობდი და "დინამოს" ბარიერი გადავლახეთ. კარგად მახსოვს, მაშინ თბილისში ჩინებული საფეხბურთო ატმოსფერო იყო. ქართველებს სტადიონიც მშვენიერი აქვთ და რამდენადაც ვიცი, ცოტა ხნის წინათ, რეკონსტრუქციაც ჩაუტარეს. ვიცით ისიც, რომ "დინამოს" ჩეხი მწვრთნელი დუშან უჰრინი ხელმძღვანელობს და გუნდში არაერთი ლეგიონერია. როგორც გავიგეთ, თბილისურმა კლუბმა მთავარი მეგოლე სანდრო იაშვილი შეიცაროულ "თუნს" დაუთმო. თუმცა მის შემცვლელად "დინამომ" რამდენიმე ახალი ფეხბურთელი დაიმატა და ადრინდელზე ნაკლები დონის გუნდი არც ახლა უნდა ჰყავდეს.*

*თბილისური გუნდი გერმანიაში გადიოდა მზადებას. ჩვენ მალე "დინამოს" თამაშის ვიდეოფირებიც გვექნება. ასე რომ, ქართველებთან პირველ მატჩისთვის სერიოზულად ვემზადებით", - აცხადებს "ვადუცის" თავკაცი.*

**დავით ცაბაძე**

www.kazbegi.com

# გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

გიორგი ონიანი თანამემამულეებს ელის

# კანდელაკსა და სეთურიძეს იენაში დღეს ელიან

კარგა ხნის წინათ გაცნობეთ, რომ გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე "კარლ ცაისში" **გიორგი ონიანის** ჩარიცხვის შემდეგ, იენაში კიდევ ელოდნენ ქართველების გამოჩენას. ამ ფაქტს გერმანული ვებგვერდებიც ადასტურებენ.

"გიორგი ონიანის გარდა, კიდევ ორ ქართველ ფეხბურთელს ველით. "კარლ ცაისის" გენერალური მენეჯერის, ლუტც ლინდემანის განცხადებით, გიორგი სეთურიძესა და ილია კანდელაკს სავიზო პრობლემები შეექმნათ, თორემ უკვე იენაში უნდა ყოფილიყვნენ.

ლინდემანის მტკიცებით, ამ ორ ქართველ ფეხბურთელს იენაში ოთხშაბათს, 11 ივლისს ელიან. ისინი ფრანკ ნოიბარტის გუნდთან ერთად, რამდენიმე დღის განმავლობაში ივარჯიშებენ. პარალელურად, მათ მომავალ კონტრაქტებზე მოლაპარაკებათა დასკვნითი ფაზა შედგება. შედეგად, "კარლ ცაისს" ერთი, ფორვარდის დამატების საკითხილა დარჩება მოსაგვარებელი", - ნერს "ოსტტიურინგენ ცაიტუნგი".

ამავე მასალაში **ილია კანდელაკისა** და **გიორგი სეთურიძის** მცირედი დახასიათებაცაა:

"გიორგი სეთურიძე იმავე კლუბიდან, საქართველოს ჩემპიონ რუსთავის "ოლიმპიდანაა". იქვე ასპარეზობდა გიორგი ონიანიც. სეთურიძე მარჯვენაფლანგელია, ბურთს კარგად ფლობს, სწრაფია, შეტევების ორგანიზატორობა და მეტოქისთვის არცთუ მცირე პრობლემის შექმნა შეუძლია.

რაც შეეხება ილია კანდელაკს, ის ოდესიდან მოდის. კანდელაკი უნივერსალია. მას დაცვაში შუა და მარცხენა მცველად, ასევე საყრდენ ნახევარმცველადაც შეუძლია თამაში".

დაბოლოს, გერმანულ ვებგერდებზე "კარლ ცაისის" მთავარ მწვრთნელ **ფრანკ ნოიბარტთან** ინტერვიუც მოვიძიეთ. ნოიბარტი გუნდსა და ახალწვეულებზე საუბრობს და ქართველებსაც მოიხსენიებს.

"ონიანი კარგი მცველია. მან ჩვენს გუნდში უკვე რამდენიმე ამხანაგური მატჩი ჩაატარა და უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. მას უკეთაც შეუძლია თამაში და მჯერა, იმედებს გაამართლებს.

... გუნდის გაძლიერებაზე მუშაობისას კიდევ ორი ქართველი ფეხბურთელი, გიორგი სეთურიძე და ილია კანდელაკი შემოგვთავაზეს. როგორც გვითხრეს, კანდელაკი ეროვნული ნაკრების წევრია, სეთირიძეს კი ნაკრების კანდიდატად მიიჩნევენ. მათზე მეტი არაფერი ვიცი. ისინი მალე შემოგვიერთდებიან, ვარჯიშებზე დავაკვირდებით და ამ ორ ფეხბურთელზე მერე უფრო მეტის თქმა შემეძლება", - აცხადებს ნოიბარტი.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ ლადო ბურდულთან

# მეორე ბუნდესლიგას ზარია ვამჯობინე

27 წლის ლადო ბურდული კრივოი როგის "კრივბასიდან" ლუგანსკის "ზარიაში" გადავიდა. ბურდული ეროვნული ნაკრების ფეხბურთელია და მისი კლუბის გამოცვლა, ცხადია, უმნიშვნელო ამბავი როდია. ლადო 17 წლის გამოჩნდა თბილისის "დინამოს" ძირითადში და მაშინ ალბათ ვერავინ გაიმეტებდა მას "კრივბასისა" თუ "ზარიისთვის".

20 წლის ბურდული უკვე "დინამოს" ერთ-ერთი ლიდერი იყო, ბურთი საკუთარ საჯარიმოდან ლამის მეტოქის კარამდე ჩაქონდა, მარჯვენა ფლანგზე მეტად მარჯვედ დაქშიტინობდა. მერე "დინამოში" ივო შუშაკი მივიდა. ხორვატი მწვრთნელი "დინამოს" ფრთხილი ტაქტიკით ათამაშებდა. შუშაკი ბურდულის შესაძლებლობებს ყოველთვის დიდად აფასებდა, თუმცა ლადო, როგორც ინდივიდუალისტი, ცოტა არ იყოს, ჩაიკარგა. მას ყოველთვის აკლდა რაღაც, რასაც მისთვის კარგი ევროპული გუნდისკენ უნდა გაეჭრა გზა.

ბურდული კიევის "დინამოს" უნდა აეყვანა, მაგრამ იქ მისულს ბედმა უმუხთლა - მძიმე ტრავმა მიიღო და ველარ აიყვანეს. ისევ თბილისის "დინამო", მერე ვლადიკავკაზის "ალანია", კვლავ "დინამო" - ვერ არის ეს კავკასია მაინცდამაინც კარგი ადგილი იმათთვის, ვინც საკუთარი ნიჭი უკვე წარმოაჩინა და უნდა დახვენოს. და ისევ უკრაინა, ოღონდ "კრივბასი". მერე გუნდიდან მთავარი მწვრთნელი გაუშვეს, სიტუაცია რამდენჯერმა აირ-დაირია კრივოიროგულ გუნდში. კოსევიჩი "ზარიაში" მივიდა და ბურდულიც იქ გადავიდა.

მისი ახალი გუნდი ახლა უნგრეთში სეზონისწინა შეკრებაზეა და უკვე სამი საკონტროლო მატჩი ითამაშა. ერთ-ერთში რუმინულ "უნივერსიტეტთან" 2:4 წააგო. ლუგანსკელთაგან ორივე გოლი ლადომ გაიტანა. ბურდულს გუშინ უნგრეთში დავურეკეთ...



ლადო ბურდული

- უკრაინაში 13 ივლისს ვბრუნდები და სეზონიც მალე დაიწყება. ვფიქრობ, უნგრეთში ნორმალურად ვემზადებით.

**- ისევ უკრაინაში დარჩი, საიდანაც საქართველოს ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი უკვე აიბარგა - გიორგი შაშიაშვილი, ილია კანდელაკი... იქნებ დროა, ბურდულიც წავიდეს უკრაინიდან?**

- მქონდა სხვა ვარიანტებიც, მაგრამ მათი განხილვა დროს წამართმევდა. ამიტომ წავედი იქ, საიდანაც ყველაზე რეალური, კონკრეტული შემოთავაზება მქონდა.

**- გასაგებია, მაგრამ ეროვნული ნაკრებისთვისაც საინტერესო ფეხბურთელი ხარ და როგორ ფიქრობ, ასეთი ფეხბურთელისთვის ევროპაში თამაში არ ჯობია?**

- "ზარიასთან" ერწთლიანი კონტრაქტი მაქვს და თუ ხელშეკრულების ამონურვამდეც გაჩნდება ევროპულ გუნდში გადასვლის რეალური შანსი, ლუგანსკიდან ისეთი თანხის საფასურად გამიშვებენ, რომლის გადახდა არც ერთი ევროპული გუნდისთვის პრობლემა არ იქნება.

**- გვითხარი, "ზარიის" გარდა სხვა შემოთავაზებებიც მქონდაო - ხომ ვერ დააკონკრეტებდი?**

- "კარლ ცაიში" ჩემს გადასვლაზეც იყო ლაპარაკი. ინტერესი იყო მეორე ბუნდესლიგის ისეთი გუნდებიდანაც, დიდი ამბიციები რომ არ გააჩნიათ.

**- და მაინც, უკრაინის საშუალო გუნდებს ალბათ მეორე ბუნდესლიგა სჯობია ნაკრების ფეხბურთელისთვის...**

- რა თქმა უნდა, მაგრამ მეორე ბუნდესლიგის მაჩანჩალა გუნდში თამაში დიდად არ მხიბლავს. გარდა ამისა, არსებობს მატერიალური მხარეც, ოჯახი და სხვა ფაქტორები.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერი

# იაშვილი 20 გოლამდე?

სანდრო იაშვილი

უკვე კვირაზე მეტია, რაც გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი, "დინამოს" ყოფილი ფორვარდი **სანდრო იაშვილი** შვეიცარიულ "თუნში" გადავიდა. თუმცა იგი ახალი გუნდის რიგებში ამხანაგურ მატჩებში ჯერ არ გამოჩენილა და მხოლოდ ვარჯიშით კმაყოფილდება. შვეიცარიულ ვებგვერდებზე "თუნის" შესახებ გამოქვეყნებულ ცნობებს თუ გადავხედავთ, ერთი რამ ამკარაა – სანდრო იაშვილზე "თუნის" თაყვანცემები დიდ იმედს ამყარებენ და ცხადია, ქართველს არაოფიციალური დებიუტისთვის გულმოდგინედ ამზადებენ.

იაშვილს რომ გუნდის საკვანძო ფიგურად მიიჩნევენ, ამის დასტურად "თუნის" ოფიციალურ ვებგვერდზე მიმდინარე გამოკითხვაც გამოდგება.

2007-08 წლების სეზონში რამდენ გოლს გაიტანს ქართველი ფორვარდი სანდრო იაშვილი? – რესპონდენტთათვის დასმულ ამ კითხვას სამი სავარაუდო პასუხიც თან ახლავს.

**A**. გაიტანს 10 გოლს? **B**. გაიტანს 10-20 გოლს? **C**. გაიტანს 27 გოლს? მართალია გამოკითხვა გრძელდება, მაგრამ უკვე აშკარად ჩანს, რომ იაშვილისა დიდად ეიმედებათ. წუხანდელი მონაცემებით, ამ გამოკითხვაში 872-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. აქედან 56.1% (489 ხმა) ამტკიცებს, რომ ახალ სეზონში იაშვილი 10-20 გოლს გაიტანს. 25.3% (221 ხმა) აცხადებს, რომ ქართველი ფორვარდი 10 გატანილი ბურთის ავტორად მოგვევლინება. 18.6% (162 ხმა) კი სჯერა, რომ იაშვილი 27 გოლის გატანას შეძლებს.

დაბოლოს, "თუნი" მორიგ ამხანაგურ მატჩს დღეს, 11 ივლისს, "პფულენდორფთან" გამართავს და შესაძლოა, სანდროს დებიუტიც სნორედ ამ შეხვედრაში შედგეს.

**დავით ცაბაძე**


CDN კავკასიის სიფრიალი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 555 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA LINE ისაუბრე ძეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უსაფრთხო მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა სხვისგან გაუჭყლეტლად

სატელეფონო საუბრების ნამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

# გაახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ლეგიონერი

## ვან გაალი: შოთა აიაქსში? არ მჯერა!

"ალკმაარის" მწვრთნელი **ლუი ვან გაალი** გამოეხმაურა გუნდის კაპიტან **შოთა არველაძეზე** წამოწყებულ სპეკულაციებს, თითქოს ის "აიაქსში" აპირებს კარიერის გაგრძელებას. მართალია, შოთამ "ლელოსთან" ეს ხმები უარჰყო, მაგრამ ცნობილი ჰოლანდიელი მწვრთნელის პოზიციაც საინტერესოა.

"ჩემთვის მთავარია, რომ არველაძე სხვა ჰოლანდიურ კლუბში არ გადავიდეს. გავიგე, რომ საუბარი იყო "აიაქსზე". თუმცა ვეჭვობ, ეს რეალური იყოს. ორი წლის წინათ, როდესაც მან ჰოლანდიაში დაბრუნების სურვილი გამოთქვა, ამსტერდამული კლუბისგან უარი მიიღო. მე ვიცი შოთას ხასიათი და ძალიან გამიკვირდება, თუკი მას ჩვენი კონკურენტების რიგებში ვიხილავ".

ინფორმაცია ჰოლანდიური მედიის მასალებზე დაყრდნობით "სპორტ-ექსპრესმა" გაავრცელა.

**მერაბ მამულაშვილი**

შოთა არველაძე და ლუი ვან გაალი

19 წლის მარჯვენაფლანგელი ნიკა კვასხვაძე „ზესტაფონში" შარშან გამოჩნდა და მალე გუნდისთვის ერთ-ერთ საჭირო ფეხბურთელად იქცა. მაღალი, სწრაფი და მებრძოლი ნახევარმცველი ხშირ შემთხვევაში თავისი ფლანგის ბატონ-პატრონი იყო. დიდი კონკურენციის გამო, ძირითად შემადგენლობაში ყოველთვის ვერ ხვდებოდა, თუმცა, საერთო ჯამში, 21 მატჩში მიიღო მონანილეობა და 3 გოლი გაიტანა.

ინტერტოტოს თასზე „ტობოლთან" მატჩს თუ არ ჩავთვლით, მან მთელი სეზონი სტაბილურად ჩაატარა. ყაზახებთან პირველ შეხვედრაში კი მთელმა გუნდმა ცუდად ითამაშა და ფიფიასთვის გაკეთებული შესანიშნავი პასის მიუხედავად, ეს მატჩი ნიკას აქტივშიც ვერ ჩაიწერება...

ნიკა საფეხბურთო ოჯახიდანაა. იგი ქუთაისის „ტორპედოს" სახელოვანი მეკარის როინ კვასხვაძის შვილიშვილია. მამამისი გია კვასხვაძე „ტორპედოს" ახალგაზრდულ გუნდში თამაშობდა, უმცროსი ძმა როინ კვასხვაძე კი ნიკას თანაგუნდელია და „ზესტაფონში" მეკარე გრიგოლ ჭანტურიას დუბლიორად ითვლება...

ვფიქრობთ, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება, რომ „ზესტაფონისა" და საქართველოს 19 წლამდე ნაკრების ნახევარმცველი ნიკა კვასხვაძე უფრო ახლოს გავიცნოთ. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

ნიკა კვასხვაძე

ინტერვიუ ნიკა კვასხვაძესთან

## არშემდგარი მეკარე კვასხვაძეების დინასტიიდან

**- ნიკა, ბაბუაშენი მეკარე იყო, შენი უმცროსი ძმაც მის კვალს გაჰყვა, ფიზიკური მონაცემები ისეთი გაქვს, რომ შესაძლოა, შენგანაც კარგი გოლკიპერი დამდგარიყო, „ოჯახურ ამპლუას" გარეთ თამაში რატომ ამჯობინე?**

- სხვათა შორის, თავიდან მეც მეკარედ მზრდიდნენ. 6 წლის ვიყავი, ფეხბურთის თამაში რომ დავიწყე და 9 წლამდე კარში ვიდექი. ჩემი ძმა კი პირიქით - პატარაობისას თავდასხმაში თამაშობდა. ორივე მამაჩემის გუნდში, ქუთაისის „მემორალში" ვიზრდებოდით. პატარაობისას საკმაოდ ნერვიული ბავშვი ვიყავი და კარში ვერ ვჩერდებოდი. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ მე გარეთ გამომიყვანეს, ჩემს ძმას კი კარში მიუჩინეს ადგილი. როინს მეკარისთვის საჭირო მონაცემები აღმოაჩნდა, თანაც ბაბუაჩემის სახელიც ჰქვია და მისი გოლკიპერობა ამანაც განაპირობა.

**- ახლა ორივე „ზესტაფონის" ღირსებას იცავთ, იმერულ კლუბში ერთად ჩაირიცხეთ?**

- არა, როინი გუნდში ჩემზე ადრე მივიდა. მე კი „ზესტაფონში" ერთი წლის წინათ ჩავირიცხე, იქამდე „ნორჩ დინამოელში" ვიყავი, შემდეგ „თბილისის" შემადგენლობაში რეგიონალლიგასა და უმაღლეს ლიგაში ვიასპარეზე. ახალგაზრდული გუნდი გვყავდა, თამაშებს ვერ ვიგებდით, მაგრამ დიდი გამოცდილება შევიძინე. იმერულ გუნდში კობა ჟორჟიკაშვილმა მიმიყვანა, თავიდან „ზესტაფონი-2"-ში უნდა მეთამაშა, მაგრამ გერმანიაში საკონტროლო მატჩებში თავი კარგად წარმოვაჩინე და იმთავითვე ძირითად გუნდში გადამიყვანეს.

**- „ზესტაფონის" ძირითადში მალე დაიმკვიდრე ადგილი, რაც გუნდში არსებული კონკურენციის პირობებში ადვილი არ იქნებოდა...**

- რა თქმა უნდა, ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის აწყობილ გუნდში საკუთარი ადგილის პოვნა ძალიან რთულია. პირველი ოთხი ტური სათადარიგოთა სკამზე გავატარე. იმ დროს „ზესტაფონს" მერაბ კოჭლაშვილი ნვრთნიდა, მან მხოლოდ ორჯერ, ისიც ბოლო წუთებზე შემიშვა მოედანზე. თემურ მახარაძის მოსვლის შემდეგ კი ჩემთვის ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვალა. მას მერე „ზესტაფონის" რიგებში სისტემატურად ვთამაშობ, ხან ძირითადში, ხანაც შეცვლებზე. მახარაძემ თავის გამოჩენის შანსი მომცა და ვფიქრობ, თავი მეც არ შემირცხვენია. გასულ სეზონში საუკეთესო მატჩი „ბათუმთან" ჩავატარე. ზღვისპირელებთან დუბლი შევასრულე და ჩემთვის ეს თამაში ამითაც არის გამოსარჩევი.

**- სხვათა შორის, თემურ მახარაძემ აღნიშნა, კვასხვაძეს ძალიან კარგი დებიუტი ჰქონდა, გუნდისთვის საკვანძო ფიგურად იქცაო...**

- სასახარულოა, როცა მწვრთნელისგან ასეთ კომპლიმენტებს ისმენ. თემურ მახარაძე კარგი სპეციალისტია, მისგან ბევრი რამ ვისწავლე და თუ ფეხბურთში რაიმეს მივაღწევ, ეს მისი დიდი დამსახურებაც იქნება.

**- შენს პოზიციაზე რომელი ფეხბურთელი მიგაჩნია საუკეთესოდ?**

- ჩემი აზრით, მარჯვენა ფლანგზე მსოფლიოში რიბერია საუკეთესო. საქართველოში კი დოლიძეს გამოვარჩევდი.

**- 19-წლამდელთა ნაკრების ნევრი უკვე ხარ, ალბათ ახალგაზრდულში მოხვედრაზეც ფიქრობ?**

- ჭაბუკთა ნაკრებში რამდენიმე შეხვედრა ჩავატარე, მაგრამ ბოლო დროს თამაშის საშუალება აღარ მოუციათ. კლუბში თამაშით ვეცდები დავამტკიცო, რომ ასაკობრივ ნაკრებში თამაშის ღირსი ვარ. დანარჩენი კი მწვრთნელის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, ახალგაზრდულ ნაკრებზეც ვფიქრობ და თუ იქ თამაშის შანსი მომეცემა, ბედნიერი ვიქნები.

**- ახლა „ზესტაფონზე" ვისაუბროთ. ზედიზედ სამი სეზონია, გუნდი მაღალი მიზნებისთვის იბრძვის, მაგრამ საბოლოოდ ხელმოცარული რჩება ხოლმე, როგორ ფიქრობ, რა არის ნარუმატებლობის მთავარი მიზეზი?**

- ალბათ, უიღბლობა. ერთი წელინადია, „ზესტაფონში" ვარ და ეს იმედგაცრუება საკუთარ თავზეც გამოვცადე. ჩემპიონატზეც და თასზეც მიზანამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯი დაგვაკლდა. ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ იღბლის გარეშე ფეხბურთში წარმატების მიღწევა ძალიან რთულია.

**- თასის ფინალში „ამერთან" საკუთარ გუნდს ვერ დაეხმარე. ალბათ გული ძალიან დაგწყდა.**

- 19-წლამდე ნაკრებში ვიყავი გამოძახებული და შოტლანდიაში ვიმყოფებოდი. ისე მოხდა, რომ ნაკრებში არ მათამაშეს და „ზესტაფონსაც" დავაკლდი. გული მისკდებოდა, როცა ტელევიზორში ვხედავდი, ჩვენები როგორ მარცხდებოდნენ, მაგრამ რა უნდა მეღონა?

**- „ტობოლის" თემას გვერდს ვერ ავუვლით. ბევრს ვერ წარმოედგინა, რომ ყაზახური გუნდი „ზესტაფონისთვის" გადაულახავი ბარიერი იქნებოდა...**

- დარწმუნებული ვიყავით, რომ ამ ეტაპს გადავლახავდით, მაგრამ პირველ მატჩში ძალიან ცუდად ვითამაშეთ და უიმედოდ დავმარცხდით. მიზეზებზე უკვე ბევრი ითქვა და აღარ გავიმეორებ. მართლაც რთულ ვითარებაში ვიყავით, თორემ ასეთი რამ არ დაგვემართებოდა. განმეორებით მატჩში დავამტკიცეთ, რომ „ტობოლზე" ძლიერი გუნდი გვყავს. სხვა დროს „ტობოლს" 10-დან 9 შეხვედრას მოვუგებდით. თბილისში მეტოქე დავჯაბნეთ და ორი გოლი შევუგდეთ, მეორე ტაიმში კი უკვე სუნთქვაც გვიჭირდა, ძალიან დაღლილები ვიყავით. ჩვენ რომ სათანადო ფორმაში ვყოფილიყავით, „ტობოლისთვის" ოთხი გოლის გატანასაც მოვახერხებდით.

**- ინტერტოტოზე განცდილი ფიასკო გუნდზე ცუდად ხომ არ იმოქმედებს?**

- არანაირად. ეს წარუმატებლობა უნდა დავივიწყოთ. ინტერტოტოზე ასპარეზობით გამოცდილება შევიძინეთ და ჩემპიონატში უფრო შემართულები ვიქნებით. „ზესტაფონი" ახალ სეზონშიც მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს და იმედია, ამჯერად მაინც გაგვიმართლებს.

**- გუნდში ოთხი ლეგიონერი გყავთ. მათთან როგორი დამოკიდებულება გაქვს და შენი აზრით, რითი განსხვავდებიან ისინი ქართველი ფეხბურთელებისაგან?**

- ძალიან კარგი ბიჭები არიან. ყველაზე მეტად ვიეირას დავუახლოვდი და ვმეგობრობთ კიდეც... ქართველ ფეხბურთელებზე ორი თავით მაღლა ნამდვილად არ დგანან, მაგრამ ჩვენს გუნდში კარგად ჩაჯდნენ და „ზესტაფონისთვის" მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ.

**- დღეს ყველა საზღვარგარეთ თამაშზე ოცნებობს და ალბათ გამონაკლისი შენც არ იქნები.**

- 19 წლის ვარ და ორი წელინადი კიდევ შეიძლება საქართველოში თამაში და გამოცდილების დაგროვება, მაგრამ არ მინდა, რომ აქ დიხანს ჩავრჩე. კლასის ასამაღლებლად და კარიერის ასაწყობად უცხოეთში წასვლა აუცილებელია. ჯერჯერობით, „ზესტაფონის" საკუთრება ვარ. ამ კლუბთან კონტრაქტით კიდევ ერთი წელი ვარ დაკავშირებული. რომ ვთქვა პირობებით კმაყოფილი ვარ-მეთქი, მოვიტყუები, უკეთესიც შეიძლება, მაგრამ მთავარია, რომ სათამაშო პრაქტიკა მაქვს. თუ საგაისოდ უცხოური კლუბის ვარიანტი გამოჩნდება, უარს ნამდვილად არ ვიტყვი.

**დავით კოხრეიძე**

თბილისის ფეხბურთის ფედერაცია. არჩევნები

## 24 ხმა ბეგაშვილს



ზაზა ბეგაშვილი

გუშინ, ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდა. შეგახსენებთ, რომ ამ არჩევნებისთვის მხოლოდ ერთი - თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე **ზაზა ბეგაშვილის** კანდიდატურა იყო რეგისტრირებული. ხმის უფლების მქონე 27 სუბიექტიდან რეგისტრაცია მხოლომ 25-მა გაიარა. თუმცა გუშინ ჩატარებულ არჩევნებში ხმის მქონე მხოლოდ 24-მა სუბიექტმა მიიღო მონაწილეობა. ყველამ ზაზა ბეგაშვილს მისცა ხმა. ასე რომ, **ნუკრი კაკილაშვილის** შემდეგ, რომელსაც მმართველობის ვადა დაუსრულდა, თბილისის ფეხბურთის ფედერაციას ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის სახით, ახალი თავკაცი ჰყავს.

**დავით ცაბაძე**

## მილჩენკოსა და შალამბერიძეს ლიცენზიები გადასცეს

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, 2-7 ივლისს მოსკოვში ფიფას პროგრამა "გოლით" გათვალისწინებული სემინარი გაიმართა მსაჯთა ინსტრუქტორებისთვის, სახელნოდებით "ფუტურო 3", რომელშიც დსთ-ის ქვეყნების ფედერაციათა წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სემინარს ფიფას მოსკოვის ოფისის ხელმძღვანელი **ვალერი ჩუხრი** და ფიფას ინსტრუქტორები, **ვიტორ მელო პერეირა** (პორტუგალია) და **ნიკოლაი ლევნიკოვი** (რუსეთი) უძღვებოდნენ. ამ სემინარზე საქართველოდან **ანატოლი მილჩენკო** და **ავთანდილ შალამბერიძე** იყვნენ მიწვეულნი. მათ ფიფას მსაჯთა ინსტრუქტორების ლიცენზიები გადასცეს.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ბერნდ შუსტერთან

# კონტრაქტი თვითონ გამოვისყიდე

## ხეტაფეს არ უნდოდა, რომ რეალში მემუშავა...

**47 წლის ბერნდ შუსტერის "რეალში" დანიშვნის პროცესი საკმაოდ დიდხანს კი გაჭიანურდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მოსალოდნელი იყო - ფაბიო კაპელო სწორედ ბერნდმა შეცვალა. გერმანელმა მწვრთნელმა სამეფო გუნდთან კონტრაქტი 2010 წლამდე გააფორმა და მისი წლიური ხელფასი 3.5 მილიონი ევრო იქნება. როგორც იცით, "ქერა ანგელოზი" "სანტიაგო ბერნაბეუზე" გუშინწინ წარადგინეს. გუშინ კი, მას გერმანული გამოცემა "ბილდი" შეეხმიანა და "რეალის" მწვრთნელის რანგში პირველი ექსკლუზიური ინტერვიუ ჩამოართვა. რა გეგმები აქვს შუსტერს მადრიდში? გადაიბირებს თუ არა გერმანელ ფეხბურთელებს? ამ და სხვა საინტერესო კითხვებზე ბერნდმა, რომელიც მადრიდული გიგანტის ისტორიაში მეორე გერმანელი მწვრთნელია (იუპ ჰაინკესის შემდეგ), საინტერესო პასუხები გასცა.**

**- ჰერ შუსტერ, გილოცავთ! თქვენ მსოფლიოს საუკეთესო გუნდის დამრიგებელი გახდით. არის თუ არა "რეალში" მუშაობა ყველა მწვრთნელისთვის საოცნებო სამსახური?**

- რა თქმა უნდა! ამაზე უკეთეს სამსახურს ვერც ვინატრებდი.

**- მაგრამ ამ პოსტზე მუშაობა უდიდეს პასუხისმგებლობასაც ნიშნავს...**

- დიახ, ვიცი. "რეალის" მიზანი ყოველთვის ესპანეთის ჩემპიონობა და ჩემპიონთა ლიგის მოგებაა. და ამიერიდან, ჩემი მიზანიც ამ ორი უდიდესი ტიტულის მოგება იქნება. მადრიდში დანიშვნით ცხოვრების უდიდესი ოცნება ამისრულდა. მჯერა, რომ ჩემზე დაკისრებულ ამოცანას თავს ძალიან კარგად გავართმევ. საკუთარ ძალებში 100 პრიცენტით დარწმუნებული გახლავართ.

**- რატომ ხართ ასე დარწმუნებული?**

- იმიტომ, რომ ამ გუნდს ძალიან კარგად ვიცნობ. და მე ვიცი, რაც შემიძლია.

**- ფაქტია, რომ თქვენი დანიშვნა ძალიან გაჭიანურდა. რატომ გაიწელა ეს პროცესი? ნუთუ მადრიდული კლუბის ბოსები ყოყმანობდნენ?**

- "ხეტაფედან" ჩემი კონტრაქტი თვითონვე გამოვისყიდე. მართალია, გუნდის ხელმძღვანელებისგან პირობა მქონდა მიღებული, რომ დიდი გუნდიდან შემოთავაზების შემთხვევაში უფასოდ გამიშვებდნენ, მაგრამ როცა საქმეში "რეალი" ჩაერთო, ეს პირობა რატომღაც ყველას დავიწყდა. "ხეტაფეს" შეფები სულაც არ იყვნენ მოხიბლულები იმ პერსპექტივით, რომ "რეალის" მწვრთნელად ვინიშნებოდი. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ კონტრაქტი თვითონვე გამოვისყიდე.

ბერნდ შუსტერი და რამონ კალდერონი

**- კრისტოფ მეტცელდერის სახით გუნდში ერთი გერმანელი უკვე გყავთ. ბუნდესლიგიდან კიდევ ვინმეს დამატებას ხომ არ აპირებთ?**

- მეტცელდერის ყიდვა "რეალის" ბოსებმა დიდი ხნის წინათ გადაწყვიტეს, რადგან გუნდს უმაღლესი კლასის მცველი სჭირდებოდა. კრისტოფი თავისუფალი აგენტი იყო, თანაც, მისი პოტენციალის შესახებ აქ ყველას ყველაფერი მოეხსენება. შესაბამისად, დრო არ დაკარგეს და გადაიბირეს მცველი, რომელიც გუნდს 100 პროცენტით შეეფერება. არ მგონია, რომ წლეულს სხვა გერმანელი ფეხბურთელი ვიყიდო. ისე კი, თუ ფულს დავხაჯრავთ, მაშინ მცველს ნამდვილად აღარ ვიყიდით.

**- საუბრობენ კაკასა და კრისტიანო რონალდოზე...**

- "რეალთან" მიმართებაში ყოველთვის ძალიან ბევრი ვარსკვლავის გვარს ახსენებენ ხოლმე. ასეთი ინფორმაციების უმეტესობა სპეკულაციებია. სპეკულაციებზე კი კომენტარს ვერ გავაკეთებ.

**- ოჯახის წევრებიც ბედნიერები არიან?**

- რა თქმა უნდა! ჩემი მეუღლე გაბი და შვილები აღფრთოვანებულები არიან. დედაჩემი და ჩემი და ამაყობენ იმით, რომ "რეალის" მწვრთნელი გავხდი. მითხრეს, შენ ეს ნამდვილად დაიმსახურეო. მოკლედ, დიდ პატივში ვარ და. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიხარია ეს ყველაფერი.

**- ოჯახი გერმანიაში გყავთ და პირველ ტესტმატჩსაც გერმანიაში გამართავთ...**

- დიახ, - ავსტრიული შეკრების შემდეგ პირველი ამხანაგური მატჩი "ჰანოვერთან" გვექნება. ძალიან მიხარია ის, რომ ჩემს "რეალს" პირველად ჩემს სამშობლოში წარვადგენ.

**- თქვენს სამწვრთნელო შტაბში გერმანულად არავინ საუბრობს?**

- არა, მხოლოდ ესპანურად. 5 წელიწადია, მანოლო რუისთან ერთად ვმუშაობ და ის "რეალშიც" ჩემი ასისტენტი იქნება. უკვე გადმოვიბირეთ ვალტერ დი სალვოც, იტალიელი სპეციალისტი, რომელიც "მანჩესტერ იუნაიტედში" ფიზმომზადების მწვრთნელი იყო.

**- პირველივე სეზონში ყველა ტიტულის მოგებას გეგმავთ?**

- დიახ. "რეალმა" ყოველთვის უმაღლესი მიზნებისთვის უნდა იბრძოლოს.

**გოტფრიდ ლენცი**

ვარსკვლავური შემოსავალი

# ბექჰემმა რეალს 315 მილიონი მოუტანა

## ლოს ანჯელეს გალაქსისაც ფულის გაკეთების იმედი აქვს

**"მარკამ" დევიდ ბექჰემის** მადრიდული კარიერა შეაფასა. მისი ინფორმაციით, სამეფო კლუბმა ინგლისელი გალაქტიკოს წყალობით, 315 მილიონი გირვანქა გააკეთა. ფეხბურთელი 2003 წელს "მანჩესტერ იუნაიტედიდან" შეიძინეს. მის ტრანსფერში 25.5 მილიონი გირვანქა დაიხარჯა. გარიგებიდან ექვსი თვის შემდეგ მადრიდელებმა ეს თანხა ორმაგად აინაზღაურეს. მათ ბექზის 1 მილიონი მაისურა გაყიდეს. "რეალის" მარკეტინგის დირექტორი **ხოსე სანჩესი** ამბობს: *"ბექჰემის ოთხწლიანი მადრიდული კარიერის განმავლობაში "რეალმა" მარკეტინგული და კომერციული საქმიანობით 440 მილიონი ევრო გამოიმუშავა. მერჩენდაიზინგიდან მიღებული შემოსავალი კი 137 პროცენტით გაიზარდა."*

ასტრონომიული რიცხვები არ გულისხმობს იმ 115 მილიონ გირვანქას, რომელიც სამეფო კლუბმა ჩემპიონობის წყალობით გაინაღდა. "ლოს ანჯელეს გალაქსის" იმედი აქვს, რომ დევიდის ტრანსფერი მასაც ანალოგიურ ფინანსური წარმატებას მოუტანს. შეგახსენებთ, 32 წლის ნახევარმცველმა ამერიკულ კლუბთან ხუთწლიანი და 130 მილიონ გირვანქად (250 მილიონი დოლარი) ღირებული კონტრაქტი გააფორმა. ამას გარდა, ბექჰემს სარფიანი კონტრაქტი აკავშირებს "ადიდასთან", რისი წყალობითაც წლიურად 10 მილიონ გირვანქას შოულობს. სხვა სარეკლამო კონტრაქტებს მისთვის დამატებით კიდევ 11 მილიონი გირვანქა მოაქვს.

## კამორანეზი 2011 წლამდე

**მაურო ხერმან კამორანეზიმ** "იუვენტუსთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. ის ტურინში 2011 წლამდე ითამაშებს და წლიურად 2.5 მილიონ ევროს მიიღებს. ფეხბურთელის აგენტმა მიმომხილველებს აუწყა, რომ კონტრაქტის რამდენიმე პუნქტით ისევ უკმაყოფილოა, მაგრამ საერთო ჯამში, "ქალბატონმა" მაქსიმალურად გაითვალისწინა კამორანეზის მოთხოვნები. შეგახსენებთ, ფეხბურთელს "ინტერსა" და "რომაში" იწვევდნენ. მან კი ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ ისევ ტურინში დარჩენა გადაწყვიტა.

## ვიერი ლაციოში ბრუნდება?

**კრისტიან ვიერი,** შეიძლება, "ლაციოში" დაბრუნდეს. ამ ინფორმაციას "კორიერე დელო სპორტი" ავრცელებს. რომაელთა პრეზიდენტმა **კლაუდიო ლოტიტომ** განაცხადა, რომ მის კლუბს კვალიფიციური თავდამსხმელი და ნახევარმცველი სჭირდება. სინიორ ლოტიტოს 34 წლის ვარსკვლავის შესახებ არაფერი უთქვამს. ვიერიმ "ლაციოში" 1998-99 წლების სეზონი გაატარა, შემდეგ კი 32 მილიონ გირვანქად "ინტერს" მიაშურა. კრისტიანი მილანურ გრანდს გასულ ზაფხულს გამოეთხოვა და "ატალანტასთან" გააფორმა კონტრაქტი. ხელშეკრულების თანახმად, მისი ყოველთვიური ანაზღაურება 1 200 ევრო იყო (სერია A-ში არსებული სახელფასო მინიმუმი). სამაგიეროდ, ბერგამოული კლუბი ფორვარდს თითოეული გოლისათვის 100 ათას ევროს გადაუხდიდა.

## ვიგანის მეხუთე ახალწვეული

**პრემიერლიგაში** დარჩენილმა "ვიგანმა" "ვესტ ბრომვიჩისა" და უელსის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი **ჯეისონ კუმასი** შეიძინა. 27 წლის ფლეიმეიერმა ახალ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. "ალბიონმა" კი მის სანაცვლოდ საკმაოდ სოლიდური თანხა, 5.3 მილიონი გირვანქა მიიღო. ამ თანხის ლომის წილს, 4.6 მილიონს ვიგანელები დაუყოვნებლივი გადაიხდიან. 500 ათასის დაფარვა კუმასის მიერ ჩატარებული მატჩების რაოდენობასა და მიღწეულ წარმატებებზე იქნება დამოკიდებული. კიდევ 200 ათასს კი იმ შემთხვევაში გადაიხდიან, თუ "ვიგანი" ახალწვეულთან ერთად პრემიერლიგაში კიდევ ერთხელ შეინარჩუნებს ადგილს. კლუბის ახალმა მწვრთნელმა **კრის ჰაჩინგსმა** უკვე მეხუთე ფეხბურთელი შეიძინა. აქამდე მან კონტრაქტები გაუფორმა **ტიტუს ბრემბლს, მარიო მელხიოტს, ანტუან სიბირსკისა** და **კარლო ნეშს**. კუმასს "ალბიონში" 141 მატჩი აქვს ჩატარებული. მის აქტივში 21 გოლია.

## ჩაშლილი თამაში ინტერტოტოზე

**კვირას** ინტერტოტოს თასის მატჩი ლიტვურ "ვეტრასა" და პოლონურ "ლეგიას" შორის სკანდალურად ნარიმართა. პირველი ტაიმის შემდეგ ლიტველები 2:0 იგებდნენ. შესვენებისას ასობით სტუმარი გულშემატკივარი მინდორზე შევარდა და თამაშის ჩაშლა სცადა. პოლიციას ცხენებზე ამხედრება და ცრემლმდენი გაზის გამოყენება მოუხდა. რამდენიმე ათეული ხულიგანი ციხეში მიაბრძანეს. შეტაკებისას ათამდე სამართალდამცველმა სხვადასხვა სიმძიმის ტრავმა მიიღო. არეულობა იმდენად მასშტაბური გახდა, რომ მსაჯმა თამაშის აღარ განაახლა. პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციამ მომხდარის გამო საჯაროდ მოიხადა ბოდიში. უეფას ამ თამაშის შესახებ ჯერ არ უმსჯელია.

## კრისტიანო და სმიტი გოგოს ვერ იყოფენ?

**კრისტიანო რონალდოს** გელფრენდი **გემა ატკინსონი ალან სმიტის** ყოფილი საყვარელია. ამ ინფორმაციას "ნიუს ოფ ზე უორლდი" ავრცელებს. ტაბლოიდის მტკიცებით, პორტუგალიელმა ვარსკვლავმა ატკინსონისა და მისი თანაგუნდელის სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ არაფერი იცის. ამიტომ 22 წლის ლამაზმანს ახსნა-განმარტებების მიცემა არ ასცდება. გემამ სმიტი რონალდოსთან შეხვედრამდე ერთი წლით ადრე გაიცნო. მათი ურთიერთობა დასრულებულად მიიჩნეოდა, მაგრამ არცთუ ისე დიდი ხნის წინ ალანის მეგობარმა გოგონამ ბოიფრენდის ტელეფონში სასიყვარულო შეტყობინებები ამოიკითხა. მათი ავტორი კი, არც მეტი არც ნაკლები, კრისტიანო რონალდოს მეგობარი იყო. ატკინსონმა მონაჭორი უნოდა ხმებს იმის შესახებ, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" ორ ვარსკვლავს ერთდროულად ხვდებოდა..

## ავტოკატასტროფამ პალმეირასის ფეხბურთელი შეიწირა

**ორშაბათს** ავტოკატასტროფაში დაიღუპა ბრაზილიული "პალმეირასის" თავდამსხმელი **ალემაო**. 23 წლის ფეხბურთელი ორხიდიანი მანქანით მამის დაბადების დღისადმი მიძღვნილი წვეულებიდან ბრუნდებოდა. რიო დე ჟანეიროს გარეუბანში სწრაფად მოძრავი ავტომობილი სავალი ნაწილიდან გადავიდა და ხეს შეეჯახა. ალემაოსთან ერთად მისი დის ქმარიც გარდაიცვალა. მანქანაში მყოფი ორი მცირეწლოვანი ბავშვი მძიმედ დაშავდა. ალემაო "პალმეირასში" წლის დასაწყისში, იაპონური "იოკოჰამა მარინოსიდან" გადავიდა. იაპონიაში გატარებულ შარშანდელ სეზონში მან 24 მატჩში 18 გოლი გაიტანა. ფეხბურთელი "კორინთიანსთან" 4 მარტის მატჩში მძიმედ დაშავდა და მკურნალობდა. ის მინდორს სექტემბერში უნდა დაბრუნებოდა.

რეალი

# მეტცელდერი შემოწმდა, პეპეც მოდის

## ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ კანავაროს გაუშვებენ?

გუშინ გერმანიის ნაკრების მცველმა **კრისტოფ მეტცელდერმა** "რეალში" სამედიცინო შემოწმება ნარმატებით გაიარა. ლორტმუნდის "ბორუსიის" ყოფილ უკანახაზელს მადრიდელები ოფიციალურად დღეს ნარადგენენ. ამასთან ერთად, სამეფო გუნდმა კიდევ ერთი ხმაურიანი ტრანსფერი დაადასტურა: "პორტუს" მცველის, **პეპეს** "რეალში" გადასვლა უკვე გადაწყვეტილი ამბავია. როგორც ჩვენი ესპანელი კოლეგები იუწყებიან, მადრიდელებს მისი შეძენა 30 მილიონი ევრო უჯდებათ.

მართალია, მეტცელდერი უფასოა, მაგრამ მისთვის კონტრაქტის გაფორმებაც საკმაოდ ძვირი დაჯდა. 26 წლის მცველმა ოთხწლიან ხელშეკრულებას მოანერა ხელი და მისი წლიური ხელფასი 4 მილიონი იქნება. სამედიცინო შემოწმება მან ნარმატებით გაიარა. *"ფეხბურთელი სრულიად ჯანმრთელია. არ მოგატყუებთ, ძალიან ვნერვიულობდით იმის გამო, რომ კრისტოფს ხშირად სტანჯავდა ტრავმები,"* - განაცხადა გუნდის ექიმმა **ალფონსო დელ კორალმა**. შეგახსენებთ, რომ მეტცემ 2003 წელს ერთ მუხლზე ორი ოპერაცია გაიკეთა.

რაც შეეხება ბრაზილიელ პეპეს, რომელსაც პორტუგალიის მოქალაქეობა აქვს - ეს უკანასკნელი "რეალთან" ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს. 24 წლის პეპე სამედიცინო შემოწმებას დღეს გაივლის, რის შემდეგაც, მას მეტცელდერთან ერთად წარადგენენ. *"ამ ფეხბურთელის გადაბირება ნახევარ ევროპას სურდა. ჰოდა, ძალიან გვიხარია, რომ ყველას ვაჯობეთ. პეპეს უდიდესი მომავალი აქვს,"* - ეს სამეფო გუნდის სპორტული დირექტორის, **პრედრაგ მიატოვიჩის** სიტყვებია. ამრიგად, დიდი შანსია, რომ მადრიდელები **ფაბიო კანავაროს** დაემშვიდობონ. როგორც იცით, დიდი ხანია, "იუვენტუსი" მის დასაბრუნებლად იბრძვის.

ამასობაში, **ბერნდ შუსტერის** მთავარ მწვრთნელად დანიშვნას, ესპანეთში სხვადასხვაგვარი რეაქცია მოჰყვა. *"შუსტერის "სტილის" გერმანული დისციპლინისა და ესპანური აღვირახსნილობის ჩინებული კომბინაციაა!"* - წერდა გამოცემა "ასი". *"შუსტერის მოსვლით მადრიდულ გრანდში ახალი ერა დაიწყო!"* - ეს ამონარიდი კი გამოცემა "ელ პაისიდან" გახლავთ.

ბოლოს იმ ფეხბურთელების ჩამონათვალს გაგაცნობთ, რომლებიც შუსტერისთვის სასურველი მოთამაშეების სიაში არიან: **სესკ ფაბრეგასი** (არსენალი), **არიენ რობენი** (ჩელსი), **ხავიერ საავიოლა** (ბარსელონა), **როისტონ დრენტი** (ფეიენოორდი). **კაკას** მადრიდში გადასვლა კი, თამამად შეიძლება, ითქვას, რომ გამორიცხულია.

კრისტოფ მეტცელდერი

იუვენტუსი. ინტერვიუ ჯოვანი კობოლი ჯილისთან

# მორაჭის ერთი ნაკლი აქვს, ის ინჭერს ქომაგობს

## ნედვედი დიდი გულის პატრონი და ასპროცენტიანი იუვენტინოა...

**სერია A-ში დაბრუნების შემდეგ, ექსპერტ-სპეციალისტთა ყურადღება განსაკუთრებით "იუვენტუსისკენაა" მიპყრობილი. "ბებერი ქალბატონის" სატრანსფერო პოლიტიკა ყოველთვის ინტრიგის მიზეზი იყო და მით უმეტეს ახლა, როცა, პრაქტიკულად, ახალი გუნდი შენდება. ამ ეტაპისთვის, არის პატარა გამარჯვებებიც და არის სირთულეებიც, რაზეც "სინიორას" პრეზიდენტი ჯოვანი კობოლი ჯილი "გაძეტა დელო სპორტს" ესაუბრა...**

ჯოვანი კობოლი ჯილი

**- ეს ზაფხული გაცილებით სჯობს შარშანდელს. ასე არ არის?**

- შარშანდელი ამბების გახსენება აღარ მინდა. ერთი წლის წინათ ჩვენ უფსკრულში ვიყავით და ველოდით სანქციებს... მაგრამ ცხოვრება შეიცვალა, შევიცვალე მეც... აი, დღეს რა კარგი ამინდია...

**- მაშ ასე, "იუვენტუსი" სერია A-ში დაბრუნდა. რა ამოცანებს დაუსახავთ გუნდს მომავალ სეზონში?**

- ერთი ამოცანა ეჭვს არ იწვევს: ყოველ მიზეზგარეშე ჩემპიონთა ლიგაში უნდა დავბრუნდეთ. სხვათა შორის, ძალიან მომეწონა ბუფონის ბოლო ინტერვიუ, რომელშიც ის მეტოქეებს მძიმე ცხოვრებას ჰპირდება. დარწმუნებული ვარ, გუნდი უკვე კონკურენტუნარიანია. ამდენად, თითოეულ მატჩში ჩვენი ამოცანა მხოლოდ გამარჯვება იქნება.

**- მათ შორის, "ინტერთანაც"?**

- პირველ რიგში, "ინტერთან"! ეს უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება. ჯერ კიდევ აგვისტოს ტურნირებში გვექნება მათთან თამაშის საშუალება და რეპეტიციებს გავივლით, რეპეტიციებს იმისთვის, რომ მერე ჩემპიონატის ორივე მატჩში დავამარცხოთ.

**- დათანხმდებოდით მასიმო მორატის გვერდით ლოჟაში ჯდომას, როგორც ამას ესპანური კლუბების პრეზიდენტები აკეთებენ?**

- მორატისთან ურთიერთობაში პრობლემები არ მაქვს, ის ძალიან თავაზიანი და კეთილი ადამიანია... მაგრამ არა თამაშის დღეს. სამატჩო ვნებები იმდენად მძაფრი იქნება, სჯობს ყველამ თავისი ადგილი დაიკავოს. მართალია, ჩვენ პატარა ბიჭები აღარ ვართ, მაგრამ რა ვუყოთ, ეს ფეხბურთია და მღელვარებაც მეტად სერიოზული იქნება.

**- ისე, რას ფიქრობთ მორატიზე?**

- ეს ის ადამიანია, რომელმაც "ინტერისთვის" ბევრი გააკეთა, შეიძლება, ძალიან ბევრიც კი. ამავე დროს, ის კარგი მამაა, თუმცა... ერთი ნაკლი აქვს: "ინტერის" ქომაგია.

**- გასულ წელს მასთან რამდენიმე სატრანსფერო ხელშეკრულება დადეთ. ახლა როგორ იქნება?**

- ამ წელს "ინტერთან" გარიგებები არ იქნება, და არ იქნება მინიმუმ იქამდე, ვიდრე სკუდეტოს არ მოვიგებთ.

**- და რამდენ ხანს შეიძლება ელოდთ სკუდეტოს?**

- ვნახოთ... ისე, უნდა ვთქვა, რომ ძალიან კმაყოფილი ვარ გუნდის გაძლიერებით. ძალიან კარგად მუშაობენ ჟანკლოდ ბლანი და ალესიო სეკო. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ისინი სატრანსფერო სეზონის მთავარი მოქმედი პირები არიან.

**- რა არის ამ მომენტისთვის პრიორიტეტული: ფეხბურთელებს კონტრაქტები გაუგრძელოთ თუ ახლები იყიდოთ?**

- ეს ორი სხვადასხვა პროცესია და ისინი ურთიერთკავშირში არიან. თუ ერთი მიმართულებით ვერაფერს გავხდებით, ეს უმალ მეორეზეც აისახება. იმ მოთამაშეებს შორის, ვისაც კონტრაქტები გავუგრძელეთ, ბევრს ავიწყდება დელ პიერო, ჩვენი ლიდერი...

**- ...თუმცა მასთან ხელშეკრულება არ გაგიგრძელებიათ...**

- ის მალე შეხვდება ბლანსა და სეკოს. არანაირი ეჭვი არ არსებობს იმაზე, რომ ალექსთან მოლაპარაკება მოხერხდება.

**- რამდენ ხანს შეძლებს დელ პიერო უმაღლეს დონეზე თამაშს?**

- ვფიქრობ, დიდხანს. გახსოვთ? ერთხელ ვთქვი, რომ დელ პიეროს "იუვენტუსის" პრეზიდენტის სავარძელში ვხედავ-მეთქი. მაგრამ ახლა ამას აღარ ვიტყვი, ითამაშოს იმდენი, რამდენიც სურს. მორჩა!

**- ყველაზე მეტად რომელმა ტრანსფერმა მოგგვარათ კმაყოფილება?**

- მთავარი ბუფონის დარჩენაა. როგორც კი მისგან დადებითი პასუხი მივიღეთ, ყველა დავმშვიდდით და ასეთ დროს ეს ძალიან დიდი პლუსია.

**- როგორ შეძელით მისი დარწმუნება?**

- მე არ ვყოფილვარ იმ შეხვედრაზე. ბუფონს წარუდგინეს კლუბის სტრატეგია მარკეტინგის სფეროში, ასევე, ჩვენი საკლუბო ბრენდის განვითარების მიმართულებები. ამან მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა... სხვათა შორის, უნდა ვთქვა, რომ ჩემპიონთა ლიგაში "მილანის" გამარჯვებაც დაგვეხმარა. გიკვირთ? მე კი არა, იმიტომ, რომ ჯიჯიმ დაინახა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია გუნდის დარაზმულობა საერთო მიზნების მისაღწევად.

**- დელ პიერო, ტრეზეგე და ბუფონი აღარ გაღელვებთ. ახლა, რიგში ნედვედი და კამორანეზი დგანან...**

- ჩვენ უკვე ვაწარმოებთ მათთან მოლაპარაკებებს. ბლანისა და სეკოს ამოცანაა, დაარწმუნოს ეს ფეხბურთელები, რომ ახალი "იუვე" მათთვის სერიოზული შანსია.

**- კამორანეზის შემთხვევაში პრობლემა ბანალურია, ის ხელფასის მომატებას ითხოვს. ნედვედის აგენტმა კი თქვა, პაველს სათანადოდ არ აფასებენო...**

- სისულელეა! მით უმეტეს, გასული სეზონის შემდეგ, როგორ შეიძლება კლუბში იყოს თუნდაც ერთი ადამიანი, ნედვედს რომ არ აფასებდეს? პაველი დიდი გულის პატრონი და ასპროცენტიანი "იუვენტინოა". ის ჩვენთან დარჩება.

**- შაბათს ანდრადე იყიდეთ. კიდევ ვინ არის გეგმაში?**

- ამით სატრანსფერო ბაზარზე მუშაობა დავასრულეთ. თუ ახალი მოთამაშის ყიდვა დადგება დღის წესრიგში, მაშინ, ვინმე უნდა გავყიდოთ. კიდევ ერთხელ ვამბობ: ჩვენი გუნდი ამ მომენტისთვის უკვე კონკურენტუნარიანია.

**- რჩება შთაბეჭდილება, რომ ალმირონსა და ტიაგოში დახარჯული ფული, რომელიმე სუპერვარსკვლავის ყიდვა შეიძლებოდა... მაგალითად, ლემპარდის... ან ფაბრეგასის...**

- კლაუდიო რანიერისთან შეთანხმებით, მივიღეთ გადაწყვეტილება, არ დაგვეხარჯა დიდი ფული სეპურვარსკვლავზე. გვინდა, გავაკეთოთ ძლიერი გუნდი იმ გათვლით, რომ "იუვეს" უკვე ჰყავს დიდი ფეხბურთელები, თუნდაც სუპერვარსკვლავები... მოთამაშეები იმის მიხედვით შევარჩიეთ, რასაც რანიერისეული კონცეფცია ითხოვდა. მიმაჩნია, რომ ისეთ რთულ ჩემპიონატში, როგორიც სერია A-ა, უკეთესია გყავდეს რამდენიმე ალტერნატივა, ვიდრე ერთ ვარსკვლავზე იყო დამოკიდებული. არ დაგვავიწყდეს ტრავმებიც...

**- მალე სეზონური აბონემენტების გაყიდვა დაიწყება. როგორ შედეგებს ელით?**

- შედეგი უკვე არის ის, რომ ქომაგებს ჩვენი სჯერათ. ტურინის "სტადიო ოლიმპიკო" მცირე ტევადობისაა. ამიტომაც გვინდა ახალი სტადიონის აშენება.

**- რას აპირებთ ამ მიმართულებით?**

- ახალი სტადიონი, ეს არის მთავარი ამოცანა, რომელიც ჩვენი გენერალური მენეჯერის ჟან-კლოდ ბლანის წინაშე დგას. "დელე ალპის" რეკონსტრუქცია გვინდა. ივლის-აგვისტოში მუნიციპალიტეტთან, სამთავრობო და სპორტულ ორგანიზაციებთან ყველა შესაძლო ვარიანტს დავამუშავებთ. იმედი მაქვს, ყველასთვის მისაღებ გადაწყვეტილებას გამოვნახავთ და ეს უკეთესი იქნება იმაზე, ვიდრე ევრო 2012-ის განაცხადისთვის გვთავაზობდნენ. ამას გარდა, ახალ სტადიონზე გვინდა გავაკეთოთ სავაჭრო-გასართობი კომპლექსი, რომელიც მთელი კვირის განმავლობაში იმუშავებს და არა მხოლოდ მატჩების დღეს.

**- დირექტორთა ახალი შემადგენლობისთვის რომელი იყო ყველაზე ძნელად მისაღები გადაწყვეტილება ამ ერთი წლის განმავლობაში?**

- როცა ჩვენ უარი ვთქვით სამოქალაქო სასამართლოში სარჩელის შეტანაზე...

**- და რანიერის დანიშვნა?**

- ნურც შეადარებთ?!

**- არის თუ არა ბლანი ახალი მოჯი?**

- მას აქვს საკმარისი გამოცდილება, რომელიც კლუბის საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცებისთვისაა აუცილებელი. მან ისწავლა იტალიური და კალჩოში უკვე ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. ყველაზე მეტად, რაც ბლანში მხიბლავს, ეს არის მოლაპარაკებათა წარმართვის საოცარი ნიჭი, ისევე, როგორც პოკერის მოთამაშეს.

**- რას იტყვით ტუდორის სიტყვებზე, თითქოს "იუვენტუსს" აქვს პროფესიონალიზმი, მაგრამ არ აქვს გული?**

- არ ვიცი, რას ფიქრობს ტუდორი, მაგრამ გასული სეზონის მაგალითი მე სულ სხვას მეუბნება.

**- ამბობენ, თითქოს თქვენი მიზანია, "იუვე" ახალგაზრდულ და წმინდა იტალიურ გუნდად აქციოთ...**

- კრიშიტოს, პალადინოსა და მარკიზიოს სერიოზული გამოცდა ელით. სხვა ახალგაზრდები, მაგალითად ჯოვინკო, სწორედ იმიტომ გავანათხოვრეთ, რომ ოსტატობა აიმაღლოს. სხვათა შორის, რანიერის ჩვენი ახალგაზრდების დიდი იმედი აქვს. დიახ, ჩვენ ვეცდებით, გავზარდოთ გუნდში იტალიელ მოთამაშეთა რაოდენობა.

**- თქვენი თანაქალაქელი "ტორინოც" აქტიურ სატრანსფერო პოლიტიკას ატარებს. ეს საგანგაშო ხომ არ არის "იუვენტუსისთვის"?**

- არა, კმაყოფილი ვარ, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ შეგვიძლია ტიფოზებს ორი დიდი დერბი შევთავაზოთ.

**- ოთხშაბათს "იუვენტუსი" ახალი სეზონისთვის მზადებას იწყებს. რა ისურვებდით?**

- ვისურვებდი, რომ კარგად ვითამაშოთ და ქომაგები გავახაროთ, რათა რაც შეიძლება მალე დავივიწყოთ გასული წელიწადი...

---

ერეკლეანელი ბიბლიოთეკა

### შტუტგარტი: მეირა რჩება

"შტუტგარტის" კაპიტანმა **ფერნანდო მეირამ** სპეკულაციებს ბოლო მოუღო. შვაბთა პორტუგალიელმა მცველმა განაცხადა, რომ "შტუტგარტში" რჩება. *"აქედან წასვლის სურვილი არ გამჩენია. გუნდს ჩემი გაყიდვა არ სურს, რაც ძალიან მიხარია. ასე რომ, VFB-ში ვრჩები,"* - თქვა მეირამ, რომელიც შვაბენლანდურ კლუბში 2001 წლიდან ირიცხება. როგორც იცით, მან მანამდე პორტუგალიურ პრესასთან საუბრისას აღნიშნა, იტალიური გრანდები მიწვევენ და იქ თამაში ჩემთვის დიდი პატივი იქნებაო. მეირას ამ განცხადებამ, როგორც იცით, შტუტგარტში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ცნობილი გახდა, რომ "იუვენტუსი" მზად იყო, მის სანაცვლოდ 20 მილიონი ევრო გადაეხადა...

### ვილიარეალმა ტომასონი იყიდა

ესპანურმა "ვილიარეალმა" ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, **იონ დალ ტომასონის** ტრანსფერი სრულყო. როგორც იცით, დანიელი თავდამსხმელი "ვილიარეალში" იანვრიდან არენდის წესით თამაშობდა, ისე კი, "შტუტგარტის" საკუთრება გახლდათ. სეზონის დასრულების შემდეგ ტომასონი შვაბენლანდურ კლუბში დაბრუნდა, მაგრამ რაკი **არმინ ფეეს** გეგმებში ვერ ჯდებოდა, VFB-მ მასთან განშორება გადაწყვიტა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, "შტუტგარტი" "ვილიარეალისგან" დაახლოებით 2 მილიონ ევროს მიიღებს.

### ჰერტა: ახალი ლუსიო და ასისტენტი ფავრისთვის

"ჰერტამ" პირველი სერიოზული ტრანსფერი სრულყო - 28 წლის ბრაზილიელი მცველი **ლუსიო** მომავალი სეზონიდან ბერლინული კლუბის ღირსებას დაიცავს. ეს, რა თქმა უნდა, "ბაიერნის" ლუსიო არ გახლავთ. მომავალი ბრემენელი "პალმეირასის" საკუთრებაა, მაგრამ ბოლოს არენდის წესით "პორტო ალეგრეში" ასპარეზობდა. იმ ლუსიოსგან განსხვავებით, ეს ლუსიო მარცხენა მცველია და თუ საჭირო გახდა, მარცხენა ნახევარმცველის ფუნქციების შესრულებაც შეუძლია. გამოდის, რომ "ჰერტას" მარცხენა ფლანგი მთლიანად ბრაზილიური ეყოლება - ლუსიო და **ჟილბერტო**. ფეხბურთელი "ჰერტაში" სამედიცინო შემოწმებას დღეს გაივლის, რის შემდეგაც, კონტრაქტს გააფორმებს. მისი ფასი 2 მილიონი ევროა. აქვე გეტყვით, რომ "ჰერტას" მთავარი მწვრთნელის **ლუსიენ ფავრის** ასისტენტად **ჰარი გემპერლე** დაინიშნა. ეს უკანასკნელი "ციურიხშიც" ფავრთან ერთად მუშაობდა.

---

ბაიერნი

# მიუნხენელებს შვაინშტაიგერი ისევ დაუშავდათ

## ჰიტცფელდი: უეფას თასი და ბუნდესლიგა უნდა მოვიგოთ

**ბასტიან შვაინშტაიგერმა** ორშაბათს სრული დატვირთვით პირველად ივარჯიშა, მაგრამ შვაინის მოედანზე დაბრუნება უიღბლო გამოდგა - რეკორდმაისტერის 22 წლის ნახევარმცველმა ისევ ტრავმა მიიღო. არადა, ეს გახლდათ პირველი ვარჯიში სამთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ. მიუნხენური კლუბის სამედიცინო შტაბში, ჯერჯერობით, გადაჭრით ვერ ამბობენ, თუ რამდენ ხანს დაისვენებს შვაინი. სამაგიეროდ, უპრობლემოდ ივარჯიშა მიუნხენელთა ახალწვეულმა **მარსელ იანსენმა**, რომელიც ასევე ტრავმირებული გახლდათ. გაირკვა, რომ ბავარიულ გიგანტს ამ დღეებში შეუერთდება **ლუსიოც**, რომელმაც გასული სეზონის დასრულების შემდეგ ოპერაცია გაიკეთა. ამათ გარდა, ჯერჯერობით, გუნდთან ერთად არ არიან დიდი ხნის ტრავმირებულები **ვილი სანინიოლი, ლუკას პოდოლსკი** და **იან შლაუდრაფი**.

*"2001 წელს ჩემპიონთა ლიგა მოვიგეთ - სწორედ ეს არის ჩვენი მასშტაბი!* - აცხადებს ოტმარ ჰიტცფელდი, - *მომავალ სეზონში მიზნად სამივე ტურნირის მოგებას ვისახავთ. თუ უეფას თასსაც მოვიგებთ, გერმანიის თასსაც და ბუნდესლიგასაც, მაშინ ჩავთვლით, რომ პროგრამა მინიმუმი შესრულებულია!"* "გენერალი" არ მალავს, რომ **ლუკა ტონისა** და **ფრანკ რიბერის** მომზადების დონე ჯერ არ აკმაყოფილებს. *"ტონი ტრავმირებული იყო, რიბერიც დიდი ხნის უთამაშებელია. შესაბამისად, არ მიკვირს, რომ ისინი საუკეთესო ფორმაში არ არიან. თუმცა იმდენად კარგად შრომობენ, რომ ეჭვი არ მეპარება, სულ მალე საუკეთესო კონდიციაში იქნებიან,"* - ამბობს რეკორდმაისტერის თავკაცი.

ბასტიან შვაინშტაიგერი და ფრანკ რიბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი

# რიკელმეს რენესანსი

## ყველა დროის საუკეთესო რომანი

ხუან რომან რიკელმე

**ხუან რომან რიკელმე** ძალიან უცნაური ფეხბურთელია. თუნდაც იმიტომ, რომ გულშემატკივრების 50 პროცენტს მისი თამაშის მანერა ყოველთვის ძალიან ხიბლავდა, 50 პროცენტს კი პირიქით - ჭირივით სძულდა. ფაქტი ის არის, რომ რიკელმეს, როგორც პიროვნებას, არასდროს არავინ ემდურის (თუ არ ჩავთვლით "ვილიარეალის" ბოსებს), აი, მის საფეხბურთო შესაძლებლობებს კი ყოველთვის აყენებდნენ კითხვის ნიშნის ქვეშ. დღეს კი მთელი არგენტინა მისი ფანია, რადგან "ალბისელესტეს" მე-10 ნომერი "კოპა ამერიკაზე" შესანიშნავ, გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს.

*"ეს ყველა დროის საუკეთესო რიკელმეა!"* - წერს არგენტინული სპორტული გამოცემა "ოლე" 29 წლის ნახევარმცველზე, რომელსაც არგენტინის ნაკრებში დებიუტი 10 წლის წინათ ჰქონდა. რომანი მაშინ **დიეგო მარადონას** შემცვლელად მოიაზრებოდა და მართალია, არგენტინაში ყველა ნიჭიერ ნახევარმცველს დიეგოს შემცვლელად ნათლავენ ხოლმე, მაგრამ ისიც ფაქტია, რიკელმე მაინც ყველაზე გამორჩეული გახლდათ.

ზუსტად ერთი წლის წინათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომანი "ალბისელესტეს" ერთ-ერთი ლიდერი კი იყო, მაგრამ თავისი შესაძლებლობები 100 პროცენტით მაინც ვერ გამოავლინა. მოედანზე მეტწილად ძალიან მძიმედ დააბოტებდა, თუმცა მაინც ახერხებდა იმას, რომ გუნდის ყველა შეტევის სულისჩამდგმელი ყოფილიყო. მეოთხედფინალში კი, გერმანიასთან მატჩში, არგენტინელებს საქმე ცუდად სწორედ მისი გაყვანის შემდეგ წაუვიდათ. **ხოსე პეკერმანის** წასვლისა და **ალფიო ბასილეს** დანიშვნის შემდეგ, როგორც გახსოვთ, რომანმა ნაკრებიდან წასვლის შესახებ გააკეთა განცხადება. ამას დაემატა პრობლემები "ვილიარეალში", რის გამოც თავი ისევ "ბოკა ხუნიორსში" ამოყო.

...და კიდევ კარგი, რომ ისევ "ბოკაში" დაბრუნდა, რადგან მან მშობლიურ კლუბში ნამდვილი რენესანსი განიცადა. ყველაზე მეტად ლიბერტადორესის თასის ფინალში, "პორტუ ალეგრისთან" გაიბრწყინა - "ბოკამ" მისი დუბლის წყალობით 2:0 იმარჯვა. კოპა ამერიკაზე კი, ფეხბურთელმა, რომელსაც თამაშის მელანქოლიური სტილის გამო ხშირად აკრიტიკებენ, უკვე 4 გოლის გატანა მოახერხა. მაგრამ რომანის უმთავრესი პლუსი ხომ არა საგოლე ალღო, არამედ მოედნის ჩინებული ხედვა და დირიჟორობაა, მაგრამ რაკი გოლების გატანაც დაინყო, ეს მის მარგი ქმედების კოეფიციენტს კიდევ უფრო ზრდის. რიკელმე ბომბარდირადაც ჩამოყალიბდა, წერს გაზეთი "ელ დია" - არგენტინაში რომანის ახალ "მაგიაზე" საუბრობენ.

ფეთქებადობა მას არც მოედანზე ახასიათებს და არც მოედანს მიღმა. ალბათ ამიტომაც არ მოსწონს იმ 50 პროცენტს, ზემოთ რომ ვწერდით. ამასთან, ძალიან ზანტიცაა, რასაც, სავსებით სამართლიანად უთვლიან მინუსად. *"სამაგიეროდ, სწრაფად აზროვნებს და მის ფიზიკურ სიზანტეს ეს ფაქტორი აბათილებს,"* - წერენ ჩვენი არგენტინელი კოლეგები და მართლებიც არიან. მიმომხილველების აზრით, ეს ახალი რიკელმეა, უფრო სრულყოფილი და ქმედითუნარიანი, რომელიც ახლა უკვე მხოლოდ გუნდისთვის თამაშობს და გაცილებით იოლად იღებს გადაწყვეტილებებს, ვიდრე ადრე.

იმისათვის, რომ თავი კარგად ვიგრძნო, გვერდით მუდამ ისეთი ადამიანი უნდა მყავდეს, რომელიც მხარზე ხელს დამკრავს და გამამხნევებსო, თქვა ერთხელ რომანმა. შარშან ასეთი ადამიანი მისთვის პეკერმანი იყო - მწვრთნელი, რომლის ხელშიც 1997 წელს 20 წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. შარშანდელი მუნდიალის დროს პეკერმანმა თქვა, არგენტინაში რომანს ჯეროვნად არ აფასებენ, აი, ბრაზილიელი რომ იყოს, მაშინვე რიკელმინიო გახდებოდა და მსოფლიოში საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო მაინც იქნებოდაო. "ალბისელესტეს" კოპა ამერიკა რომ მოაგებინოს, ჩათვალეთ, რომ მას სამშობლოში საბოლოოდ აღიარებენ...

**გოტფრიდ ლენცი**

ჯეიმი კარაგერი

ლივერპული. ტრანსფერები

# კარაგერი ნაკრებს ეთხოვება

## ბელამიმ ვესტ ჰემს მიაშურა, ბენიტესი კიდევ ორი ფეხბურთელის შეძენას აპირებს

**რაფა ბენიტესმა** დაგეგმილ ტრანსფერებზე ისაუბრა. "ლივერპულის" თავკაცმა მიმომხილველებს აუწყა, რომ ბევრი ფეხბურთელის შეძენას არ აპირებს. შესაძლოა, მერსისაიდელებმა ორი მოთამაშე დაიმატონ, რამდენიმე ახალგაზრდას კი იჯარით გაშვება ემუქრება. *"მათთვისაც უკეთესი იქნება, თუ სხვა კლუბებს მონახავენ. აქ დარჩენის შემთხვევაში, თამაშის გარანტიას ვერავინ მისცემს."* - თქვა ბენიტესმა.

"ლივერპულმა" "აიაქსს" გარიგება შესთავაზა. "სანის" ცნობით, "ეშმაკებმა" ახალგაზრდა თავდამსხმელ **რაიან ბაბელს** დაადგეს თვალი. ფეხბურთელის აგენტი **ვინი ჰაატრეხტი** ადასტურებს მერსისაიდელთა დაინტერესების ფაქტს და ამბობს, რომ ტრანსფერს ამსტერდამელთა თანხმობა სჭირდება: *"მოლაპარაკებები ჯერ არ დაწყებულა. ველოდებით "აიაქსის" პოზიციის გარკვევას."* ბაბელს მეორე ინგლისური გრანდი, "არსენალიც" ეპატიჟება. გუშინწინ ფეხბურთელმა საინტერესო კომენტარი გააკეთა: *"ჩემი შესაძლო ტრანსფერის შესახებ გაუთავებლად ლაპარაკობენ. შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ მომავალ სეზონს "აიაქსში" გავატარებ, თუმცა ალბათ დადგება დრო, როცა ინგლისში გავემგზავრები."*

**ჯეიმი კარაგერმა** სანაკრებო კარიერის დასრულება გადაწყვიტა. 29 წლის მცველმა ეროვნულ გუნდში 34 მატჩი ჩაატარა, აქედან 12 - შეუცვლელად. კარაგერი უმეტეს დროს თადარიგში ატარებდა ხოლმე და მხოლოდ **ჯონ ტერისა** და **რიო ფერდინანდის** ტრავმებისას თამაშობდა. ინგლისელები მორიგ მატჩს 22 აგვისტოს შინ გერმანიასთან გამართავენ. ლივერპულელი მცველი ნაკრებს სწორედ მაშინ გამოეთხოვება. მთავარმა მწვრთნელმა **სტივ მაკლარენმა** მასთან შეხვედრა გადაწყვიტა. ის შეეცდება, გამოცდილი ფეხბურთელი დარჩენაზე დაიყოლიოს. სტივი პოზიციის შეცვლას არ აპირებს: *"რვა წელიწადია, ნაკრებში დამკვიდრებას ვცდილობ, მაგრამ უშედეგოდ. ჩემი კონკურენტები ახალგაზრდები არიან. ისინი კიდევ მოუმატებენ, მე კი ისეთ ასაკში ვარ, რომ პროგრესი ნაკლებად მოსალოდნელია."* ჯეიმი ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი კაპიტანია. მან პირველი კეპი 1999 წელს მოიხვეჭა. კარაგერმა "ლივერპულთან" პროფესიული კონტრაქტი 1996 წელს გააფორმა. ის კარიერის დარჩენილ დღეებსაც მშობლიურ კლუბს მიუძღვნის.

ამასობაში, **კრეიგ ბელამიმ** "ვესტ ჰემს" მიაშურა. მოლაპარაკებები გუშინ დასრულდა. თავდამსხმელმა ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, "ლივერპულმა" კი მის სანაცვლოდ 7.5 მილიონი გირვანქა მიიღო. 27 წლის უელსელი "ენფილდზე" ერთი წლის წინათ, "ბლექბერნიდან" გადავიდა. მის სანაცვლოდ 6 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. ფინანსური თვალსაზრისით ბელამის ტრანსფერი მომგებიანი აღმოჩნდა, სპორტული თვალსაზრისით კი - ნაკლებად ეფექტური. ამ ზაფხულს ლივერპულელებმა ორი თავდამსხმელი დაიმატეს: **ფერნანდო ტორესი** ("ატლეტიკო") და **ანდრეა ვორონინი** ("ლევერკუზენი"). მათ გარდა, "ენფილდზე" **პიტერ კრაუჩი** და **დირკ კუიტიც** ირიცხებიან. კრეიგი ძირითადში მოხვედრაზე ველარც კი იოცნებებდა, ამიტომ ამბიციურ "ვესტ ჰემს" მიაშურა.

## ანელკა ბოლტონში რჩება

**ნიკოლა ანელკა** "ბოლტონში" რჩება. კლუბი თავდამსხმელს აბარგების უფლებას მისცემს, თუ გაისად ჩემპიონთა ლიგის ზონაში ვერ მოხვდება. ფეხბურთელს "არსენალში" დაბრუნებას უწინასწარმეტყველებდნენ. "მეთოდეებს" **ტიერი ანრის** შემცვლელი სჭირდებათ, მაგრამ "ბოლტონთან" მოლაპარაკება არ უცდიათ. ანელკა გუნდს სამხრეთ კორეაში გაჰყვება და ტრადიციულ წინასასეზონო ტურნირში, "მშვიდობის თასზე" ითამაშებს. ორიოდე თვის წინათ "ბოლტონის" ხელმძღვანელობა ირწმუნებოდა, სარფიანი შეთავაზების შემთხვევაში ანელკას აუცილებლად გავყიდითო, მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი შეთავაზება არ ყოფილა.

## გროსო ოთხი წლით და 7.5 მილიონად

**ფაბიო გროსო** ლიონელია. მსოფლიოს ჩემპიონმა საფრანგეთის საუკეთესო გუნდთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მილანის "ინტერი" 7.5 მილიონ ევროს მიიღებს. 29 წლის ფეხბურთელი **ერიკ აბიდალს** შეცვლის. მოგეხსენებათ, ამ უკანასკნელმა "ბარსელონას" მიაშურა. "ლიონი" კიდევ ორ წამყვან ფეხბურთელს გამოეთხოვა. **ფლორან მალუდამ** "ჩელსის", ხოლო **ტიაგომ** "იუვენტუსს" მიაშურეს. გუნდს ახალი მწვრთნელიც ჰყავს: სეზონის დასრულებისთანავე **ჟერარ ულიე ალენ პერენმა** შეცვალა. ჩემპიონებს რთული სეზონი ელით, თუმცა ხელმძღვანელობა იმედიანადაა განწყობილი.

როლანდო ბიანკი

მანჩესტერ სიტი

# ბიანკი, სვენის პირველი შენაძენი

## სანტა კრუსი და ელმანდერი მოიცდიან, რევჯინა 13 მილიონს მიიღებსო

**სვენ გორან ერიქსონმა** ტრანსფერებზე მუშაობა დაიწყო. ინგლისური სააგენტოების ცნობით, მისი პირველი შენაძენი "ბაიერნის" თავდამსხმელი **როკე სანტა კრუსი** უნდა ყოფილიყო. ეს უკანასკნელი პარაგვაის ნაკრებს კოპა ამერიკაზე ახლდა. პარაგვაელები მეოთხედფინალში მექსიკასთან შერცხვნენ (0:6) და შინ გაემგზავრნენ. სანტა კრუსმა მოლაპარაკებებისათვის მოიცალა, მაგრამ სვენი მასთან დაკავშირებას არ ჩქარობს. "სიტის" ახალ ბოსს თავდამსხმელი დიახაც სჭირდება, მაგრამ უპირატესობას თანამემამულე **იოჰან ელმანდერს** ანიჭებს. ელმანდერი 26 წლისაა და ფრანგულ "ტულუზში" თამაშობს. მას საფრანგეთის ჩემპიონი "ლიონიც" ეპატიჟება. ლიონელები დაშავებული ბრაზილიელი **ფრედის** შემცვლელს ეძებენ. "ტულუზი" ფეხბურთელს 8 მილიონ გირვანქად აფასებს. ცნობისთვის, სანტა კრუსიც 8 მილიონი ღირს.

სვენის კიდევ ერთი სამიზნეა რევჯინელი ფორვარდი **როლანდო ბიანკი**. იტალიურ სააგენტოებს თუ დავუჯერებთ, მანჩესტერულ კლუბთან შეთანხმება თითქმის მიღწეულია. 24 წლის იტალიელი 8.5 მილიონი გირვანქა ღირს. ის კალაბრიაში 2005 წლის ზაფხულში "კალიარიდან" გადავიდა და გასულ სეზონში 18 გოლი შეაგდო. ბიანკი რომ არა, "რევჯინა" უმაღლეს დივიზიონს გამოეთხოვებოდა. მისი წყალობით, გუნდმა ჩემპიონატი მე-14 ადგილზე, გასავარდნი ზონისაგან ერთი ქულით მაღლა დაასრულა. მადლიერების ნიშნად, კლუბი ფეხბურთელის უფრო ამბიციურ კლუბში გაყიდვას დათანხმდა. სპეკულაციების თანახმად, როლანდოს სერია A-ში აღზევებული "იუვენტუსი" და "ნაპოლი" ეპატიჟებიან, მაგრამ კალაბრიელებს ჯერჯერობით მხოლოდ ინგლისიდან შეეხმიანენ. და აი, გუშინ საღამოს "რევჯინის" პრეზიდენტმა **პასკუალე ფოტომ** განაცხადა, რომ "სიტისთან" წინასწარი შეთანხმება მიღწეულია. მისი თქმით, ინგლისელებს ბიანკის ტრანსფერი 13 მილიონი ევრო დაუჯდებათ.

იუვენტუსი. ტრანსფერები

# ბურდისო ბარძალის ნაცვლად

## ლა სტამპა: ინტერმა ნედვედი მოიკითხა

"**იუვენტუსმა**" "ინტერის" არგენტინელი მცველი **ნიკოლას ბურდისო** მოიკითხა. "ტუტოსპორტის" ცნობით, "ქალბატონის" დამრიგებელი **კლაუდიო რანიერი** ტელეფონით ესაუბრა მილანელ კოლეგა **რობერტო მანჩინის** და გარიგება შესთავაზა. ტურინელებმა დაახლოებით 10 მილიონი ევრო გაამზადეს. ისინი პალერმოელი **ანდრეა ბარძალის** შეძენას ცდილობდნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ და ბურდისოზე დაიწყეს ფიქრი. პარალელურად, "იუვე" უდინეზელი თავდამსხმელის, **ფაბიო კვალიარელას** საგრანსფერო უფლებების 50 პროცენტსაც უმიზნებს. მათ ანალოგიური ხელშეკრულება გააფორმეს "პიაჩენცასთან", რისი წყალობითაც **დანიელე კაჩა** ამ ორი კლუბის საერთო საკუთრებად გამოცხადდა.

დავუბრუნდეთ "იუვესა" და "ინტერის" მოლაპარაკებებს. "ლა სტამპა" სენსაციურ ცნობას ავრცელებს. "ინტერმა" ტურინულ გიგანტს **პაველ ნედვედის** გაყიდვა შესთავაზაო. ერთი წლის წინათ, როცა "ქალბატონს" ქვედა დივიზიონისაკენ მიუთითეს, "ნერაძურიმ" მისი ორი ლიდერი - **პატრიკ ვიეირა** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** შეიძინა. რეალურია თუ არა ჩეხი ვარსკვლავის ტრანსფერი თუ ეს ყვითელი პრესის მიერ ჭიქაში ატეხილი ქარიშხალია? "ლა სტამპა" მკითხველს შეახსენებს, რომ ნედვედი "იუვენტუსს" ახალი კონტრაქტის პირობებზე ვერ მოურიგდა. სხვათა შორის, მისი აგენტი ის **მინო რაიოლაა**, რომელმაც გასულ ზაფხულს იბრაჰიმოვიჩი მილანში ნაიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ კაკასთან

# მილანი სრულყოფილებას მიუახლოვდა

## ბრაზილიელი ნახევარმცველი მიიჩნევს, რომ მისი მისია ფეხბურთის თამაშია

**საკმარისია** მილანელოს ბაზაზე შეხვიდე, რომ მაშინვე მიხვდები: დღეს მსოფლიო ფეხბურთში ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა რიკარდო იზექსონ დოს სანტოს ლეიტე, ან უბრალოდ კაკა.
თუ მასთან გასაუბრება გინდა, მაშინ რთული გზა უნდა გაიკვლიო კაკას გარშემო შეკრებილ უამრავ ტიფოზსა თუ ჟურნალისტს შორის, რომლებიც აქ დედამიწის თითქმის ყველა კუთხიდან არიან ჩასულნი. ყველა მათგანი იმედოვნებს, რომ "მილანის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური გულმოწყალებას გამოიჩენს და ბრაზილიელთან ინტერვიუს ნებას დართავს. თავად კაკა ოდნავ დამორცხვებულია ამგვარი ყურადღებით, ის ყველას მიმართ კეთილგანწყობილი და ზრდილობიანია. იმ დღეს ესპანურ ჟურნალ "დონ ბალონის" ჟურნალისტს გაუმართა, რომელიც წერს: "როცა ჩვენი საუბრის დრო დადგა, "მილანის" ლიდერი ყველა კითხვას გასაგებ და გამართულ ენაზე პასუხობდა. როცა მას უსმენ, ხვდები, რომ შენს წინ ღმერთისგან მოვლენილი ადამიანი ზის. კაკა არის ის, ვინც ზემოთ, ცაში უყვართ და განსაკუთრებული ნიჭით აჯილდოვებენ".

**- ზოგადად, როგორ შეაფასებდით გასულ სეზონს?**

- მთავარია იყო ის, რომ ჩვენ კიდევ ერთხელ შევძელით ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა. ევროპულ არენაზე გამოსვლის გამოცდილებამ ბედნიერი ფინალი მოგვიტანა. მე მეოთხედ ვიღებდი მონაწილეობას ჩემპიონთა ლიგაზე და ამჯერად, პირადი მაჩვენებლები უკეთესი მქონდა, ვიდრე წინა გათამაშებებში. მიმაჩნია, რომ წარმატებით ვითამაშე.

**- ბევრი ფიქრობს, რომ კაკას გარეშე "მილანი" სეზონს ჩააგდებდა...**

- არ არის მართალია. მე ჩემს სამუშაოს ვასრულებ და დიდ პასუხისმგებლობასაც ვგრძნობ, მაგრამ მინდა, ნათელი შევიტანო ამ საკითხში: ერთი ფეხბურთელის მონდომებით არაფრის მოგება არ შეიძლება. აუცილებელია, რომ მოედანზე მთელი გუნდი მოქმედებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმატება არ გექნება.

**- შეიძლება თუ არა, "ლივერპულთან" ფინალურ მატჩს ყველაზე მნიშვნელოვანი თამაში ეწოდოს თქვენს ცხოვრებაში?**

- არა. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მომდევნო თამაშია. არ შეიძლება დიდხანს იფიქრო უკვე მიღწეულ შედეგზე - წინააღმდეგ შემთხვევაში, მოტივაციას კარგავ. როცა "მანჩესტერ იუნაიტედთან" ნახევარფინალური მატჩების დრო მოვიდა, სწორედ ის ითვლებოდა უმნიშვნელოვანეს შეხვედრებად. მანამდე ასე იყო "ბაიერნთან" მატჩების შემთხვევაში.

**- როდის მიხვდით, რომ "მილანი" ჩემპიონთა ლიგის მოგებას შეძლებდა?**

- ალბათ, მაშინ, როცა "მანჩესტერ იუნაიტედი" გავიარეთ. მართალია, ის ძალიან სოლიდური გუნდია, მაგრამ იმ მომენტში, ევროპულ კლუბებს შორის ყველაზე კარგ ფორმაში ვიყავით. "მანჩესტერზე" გამარჯვებამ თვითდაჯერება შეგვმატა, კარგ ხასიათზე დაგვაყენა, თუმცა, ამას არ გამოუნვევია კონცენტრაციის დაკარგვა - ის ჩვენ ბოლომდე შევინარჩუნეთ.

**- რაში მდგომარეობს "მილანის" წარმატების საიდუმლო?**

- შეიძლება იმაში, რომ ყოველთვის შეგვიძლია საჭირო მოტივაციის პოვნა და ეს იმ დროს, როცა კლუბის ისტორია მრავალ დიდ გამარჯვებას ითვლის. ჩვენ ვისწავლეთ საჭირო მომენტებში ტემპის მომატება, ანუ იმ დროს, როცა მატჩების შედეგებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

**- პირადად თქვენ, როგორ ახერხებდით მთელი სეზონის განმავლობაში მოტივაციის შენარჩუნებას? "მილანისთვის" სეზონი ხომ არც ისე კარგად დაიწყო.**

- ამ სეზონში ჩემი მიზანი ჩემპიონთა ლიგის მოგება და ჩემპიონატში მესამე-მეოთხე ადგილის დაკავება იყო. მას შემდეგ, რაც კლუბს გადახდა თავს, სკუდეტოსთვის ბრძოლა შეუძლებელი იყო. ამიტომაც სერია A-ში ამოცანების კორექტირება მოვახდინეთ.

**- რამდენად მნიშვნელოვანი იყო გუნდში რონალდოს მოსვლა?**

- ძალიან მნიშვნელოვანი. ადამიანური და სპორტული თვალსაზრისით. რონალდომ გააძლიერა გუნდი, მიიყვანა იმ კონდიციამდე, რომ მას უკვე შეეძლო ჩემპიონთა ლიგის ტიტულისთვის შტურმი. თავად რონალდოს არ შეეძლო ამ ტურნირში ჩვენთვის დახმარების გაწევა, მაგრამ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორი იქნება ჩვენი გუნდი გაისად, როცა შემადგენლობას რონალდოც დაემატება.

**- რა განსხვავებაა სტამბოლში წაგებულ და ათენში გამარჯვებულ "მილანს" შორის?**

- უფრო გამოცდილები გავხდით. რა თქმა უნდა, შემადგენლობაშიც მოხდა ცვლილებები, მაგრამ მთავარი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ამჯერად "მილანი" ფინალს საუკეთესო ფორმაში შეხვდა.

**- "მილანის" წარმატების კიდევ ერთ მიზეზად ასახელებენ იმას, რომ თქვენ კარგად შეთამაშდით ზეედორფთან.**

- მოედანზე ჩემი და კლარენსის როლები შეიცვალა, რადგან მწვრთნელმა სათამაშო მოდელი დახვეწა. წლეულს, ანჩელოტიმ ზეედორფი წინ წაწია და ორი თავდამსხმელით თამაში გადაწყვიტა. ამით მან ახალი პოზიცია მომანიჭა.

**- და ამ სქემამ კარგად იმუშავა: ჩემპიონთა ლიგაზე 10 გოლი გაიტანეთ და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდით.**

- სინამდვილეში, ამდენი გოლის გატანას არ ვარ ნაჩვევი, ამიტომაც, პირველ რიგში, თავად დავრჩი გაკვირვებული. საერთო ჯამში, მე ნახევარმცველი ვარ და არა თავდამსხმელი. ჩემი ამოცანა ყოველთვის ფორვარდებისთვის საგოლე მომენტების შექმნაში გამოიხატებოდა. მაგრამ ახალი სისტემის მიხედვით, წინ მომინია მოქმედება. ამიტომაც, ბურთის მიღების შემდეგ, წინ უნდა გავქცეულიყავი და გოლის გატანა მეცადა. ხანდახან ეს კარგად გამომდიოდა.

**- ზეედორფი ამბობს, რომ შემტევი ნახევარმცველის როლი მას დიდ სიამოვნებას ანიჭებს. თქვენ როგორ შეეგუეთ ახალ როლს?**

- ახლა ახალ ამპლუაში კარგად ვგრძნობ თავს. მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ბოლომდე შევეგუე ამ როლს - ჩემთვის უფრო მისაღები ორი პარტნიორის უკან მოქმედებაა. ჩემი თავდამსხმელობა კლუბისთვის რთული პერიოდის დროს მოვსინჯეთ, როცა გუნდი ვერ პოულობდა დაბალანსებულ თამაშს. თავიდან, თითქოს ჰიპნოზი გამიკეთესო, მაგრამ შემდეგ საკუთარ თავს ვუთხარი: რადგან ამას გუნდისთვის სარგებელი მოაქვს, უნდა ვისწავლო და შევეჩვიო ახალ პირობებს. ნელნელა, ახალ პოზიციაზე უფრო სწრაფი მოქმედება დავიწყე და ახლა ყველაფრი წესრიგშია.

**- ამ სეზონში "ოქროს ბურთს" ან კრიშტიანო რონალდოს, ან დიდიე დროგბას ან თქვენ მოგანიჭებენ. მაგრამ ათენურ ფინალში მხოლოდ თქვენ მონანილეობდით. არ თვლით, რომ დღეისთვის ეს გარკვეულ უპირატესობას განიჭებთ?**

- პირადი პრიზები დიდ სიხარულსა და სიამოვნებას მანიჭებს. მაგრამ ფიფას ვერსიით საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი ან "ოქროს ბურთი" - გუნდის წარმატების შედეგია. მას შემდეგ, რაც საკლუბო დონეზე მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული ტურნირი მოვიგე, შემიძლია ჩემი თავი ფავორიტებს შორის დავაყენო. მაგრამ, წლის ბოლომდე ჯერ კიდევ დიდი დროა.

**- კრიშტიანო რონალდოზე რა აზრის ხართ?**

- იმას, რაც აქამდე ითქვა, ბევრს ვერაფერს დავამატებ. მას ყველა იცნობს. შეიძლება, რონალდო ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელია მსოფლიოში. მას ზრდის პოტენციალიც გააჩნია. მაგრამ, მე ასევე მომწონს დროგბა და კიდევ ის ფეხბურთელები, რომლებიც არ დაგისახელებიათ.

**- დღეს, პერსპექტიული მოთამაშეებიდან ანდერსონია გამორჩეული, რომელიც წლეულს "პორტუდან" "მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდა. ზოგიერთი მიმომხილველის აზრით, ის ძალიან გგავთ თამაშის მანერით. რას ფიქრობთ ამ ფეხბურთელზე?**

- ანდერსონი მეც ძალიან მომწონს, მაგრამ სამწუხაროდ, ის საქმეში ხშირად არ მინახავს. მხოლოდ რამდენიმე მატჩი ვიხილე "გრემიოსა" და"პორტუში" თამაშის დროს. თუმცა, ნანახმა დამარწმუნა, რომ ეს ბიჭი არაჩვეულებრივად ნიჭიერია.



კაკა მილანის გამოკვეთილ ლიდერად რჩება

**- ანდერსონი ახალ სეზონში ინგლისის პრემიერლიგაში ითამაშებს. გასულ წელს, ამ ქვეყნის ჩემპიონატის სხვა ტურნირებზე უპირატესობა თვალშისაცემი იყო. როგორ შეაფასებდით პრემიერლიგის გათამაშებას?**

- მომწონს ეს ტურნირი. როცა ბრაზილიაში ვცხოვრობდი, ყურადღებით ვადევნებდი თვალს იტალიის, ესპანეთისა და ინგლისის ჩემპიონატების მატჩებს. დიდ მღელვარებას ვგრძნობდი, როცა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელების თამაშს ვუცქერდი.

**- ინგლისური სტილი ერთ-ერთი წამყვანია ევროპაში. თქვენ შეგეძლოთ დარწმუნებულიყავით ამაში, როცა "მანჩესტერ იუნაიტედთან" და "ლივერპულთან" მოგაწიათ შეხვედრა.**

- "ლივერპულის" სტილი - წმინდა ბრიტანული ფეხბურთის ეტალონია. მის ფეხბურთში ძალიან ბევრია ტაქტიკა და ათლეტიზმი. "იუნაიტედი" კი, შესამჩნევად განსხვავდება "ლივერპულისგან" ან "ჩელსისგან".

**- ყველამ იცის, რამდენად მნიშვნლოვანია თქვენთვის ბრაზილიის ნაკრები. ამიტომაც, იოლი მისახვედრია, თუ რა რთული იქნებოდა კოპა ამერიკაზე თამაშზე უარის თქმა?**

- რაც ჩემზეა დამოკიდებული, ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ ნაკრების ყვითელი მაისურა მოვიგოო. ვოცნებობ ამ გუნდის ნებისმიერ მატჩში თამაშზე. მაგრამ ყველა მოთამაშეს აქვს ფიზიკური ენერგიის ზღვარი და ნებისმიერს სჭირდება დასვენება. სამი წელიწადი პაუზის გარეშე ვითამაშე. ყველა გამოძახებას ვეხმაურებოდი, მაგრამ ახლა ასეთი გადაწყვეტილება იმის გამო მივიღე, რომ მინდა მომავალში ნაკრებისთვის ნამდვილად სასარგებლო მოთამაშე ვიყო. 2008 წელს ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლას ვაპირებ, ორ წელიწადში კონფედერაციათა თასი გველის, სამი წლის შემდეგ - მსოფლიო ჩემპიონატი. წელს რომ შვებულება არ ამეღო, ექვსი-შვიდი წელიწადი შეუსვენებლივ თამაში გამომდიოდა.

**- ალბათ, ეროვნულ ნაკრებთან ყველაზე ნათელი და ყველაზე ნაღვლიანი მოგონებები გაკავშირებთ?**

- დიახ. მიუხედავად შედეგისა, გონებაში რჩება როგორც კარგი, ასევე ცუდი მოგონებები. მაგრამ ეს ცუდიც ჭკუის სასნავლებლად არის საჭირო, ის უფრო მეტ გამოცდილებას გძენს, ასე რომ, ზოგი ჭირი მარგებელია.

**- ხშირად გახსენდებათ ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრებთან განცდილი მარცხი?**

- ხანდახან. მაგრამ როცა მახსენდება, შვებას 2002 წლის მუნდიალზე მოპოვებული გამარჯვება მაძლევს.

**- რა არ ეყო ბრაზილიის ნაკრებს იმისთვის, რომ გერმანიაში ოთხი წლის წინათ მოპოვებული ტიტული დაეცვა?**

- ყველა მოთამაშემ უნდა შეიგნოს, რომ ფეხბურთში მხოლოდ ნიჭი საკმარისი არ არის. ბრაზილიაზე ნიჭიერი ნაკრები არ არსებობს, მაგრამ გამარჯვება იტალიას დარჩა, რომელსაც ჩვენზე მნიშვნელოვანი რაღაც ჰქონდა.

**- დღევანდელი "მილანის" სიმბოლო პაოლო მალდინია. რას იტყოდით მასზე, როგორც ფეხბურთელსა და როგორც პიროვნებაზე?**

- ვაღიარებ, რომ, როცა ამ კლუბში მოვედი, ყველაფერ ახალს პაოლოსგან ვსწავლოდი - მინდოდა, ყველა წვრილმანი საიდუმლო მცოდნოდა. ყოველთვის მაოცებდა ის, რომ ასეთი დამსახურებული და წარმატებული ფეხბურთელი ვარჯიშებზეც საუკეთესო იყო. "საიდან პოულობს მოტივაციას?" - ვეკითხებოდი საკუთარ თავს.

**- და რა აღმოაჩინეთ?**

- ეს ყველაფერი ხასიათიდან მოდის, რომელიც პაოლოს დაბადებიდან აქვს. ასეთი ურყევი მიზანმიმართულების სწავლა შეუძლებელია.

**- როცა მსოფლიო ფეხბურთის მწვრვალებს აღწევთ, გონებით ხშირად ბრუნდებით უკან, საკუთარი საფეხბურთო კარიერის საწყისებთან?**

- დიახ. ფეხბურთის თამაში მხოლოდ გართობისთვის დავიწყე, მაგრამ შემდეგ შემიყვარდა ის და თანდათან პროფესიულ საფეხბურთო კარიერაზე ფიქრი დავიწყე. ბოლოს და ბოლოს, აღმოვჩნდი იქ, სადაც მოხვედრაზე არასოდეს მიოცნებია.

**- თქვენ ყოველთვის ამბობდით, რომ მისაბაძ ელემენტად რაი გყავდათ არჩეული. რა გავლენა იქონია მან თქვენი, როგორც ფეხბურთელის ჩამოყალიბებაზე?**

- გადამწყვეტი როლი. რაი ჩემთვის ერთგვარი სარკე იყო, რომელშიც მუდმივად ვიხედებოდი. ჩემს ბავშვობაში, ის "სან პაულუს" საუკეთესო ფეხბურთელი იყო და თავიდანვე დავიწყე მისი თამაშის სტილის შესწავლა.

**- რამდენიმე წლის შემდეგ, თქვენს ცხოვრებაზე დიდი როლი ითამაშა აუზთან დაკავშირებულმა ტრაგიკულმა შემთხვევამ (2000 წლის სექტემბერში, 18 წლის კაკამ აუზში ცურვისას ხერხემლის ტრავმა მიიღო, რომელმაც კინაღამ ხაზი გადაუსვა მის კარიერას)...**

- ამ ინციდენტმა მართლაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩემს ცნობიერებაში. მაშინ მივხვდი, რომ ამ ცხოვრებაში უშრომლად არაფერი მოდის. ვისწავლე ყველაფერი იმის დაფასება, რაც ცხოვრებაში მქონდა, იმ ადამიანების დაფასება, რომლებსაც ახლობლებად ვთვლიდი. და რაც მთავარია, გამოვფიხლდი და დავინახე, რომ ყველაფერი, რაც გაგვაჩნია, ღმერთისგან არის ბოძებული. სამი თვე ვმკურნალობდი და შემდეგ "სან პაულუში" პროფესიული კარიერა დავიწყე. მაშინ ბოლომდე მქონდა შეგნებული, თუ რამდენად გამიმართლა ცხოვრებაში.

**- შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო თქვენი მისიის საწყისი წერტილი?**

- ალბათ. ყველა ჩვენთაგანს საკუთარი მისია გვაქვს ცხოვრებაში. მე ჩემსას ვასრულებ - ფეხბურთს ვთამაშობ.

**- ამჟამად კმაყოფილი ხართ საკუთარი თავით?**

- ძალიან. მაგრამ მინდა ხაზი გავუსვა: ბედნიერი ვარ იმიტომ, რომ გუნდს წარმატებული სეზონი ჰქონდა, მივაღწიეთ ჩვენს მიზანს, მიუხედავად იმისა, რომ ზამთარში ბევრი თვლიდა - "მილანს" ჩემპიონთა ლიგაზე წარმატების მიღწევა არ ეწერა. ჩვენ თითქმის სრულყოფილებას მივაღწიეთ.

**გიორგი თვალია**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ნარმოგიდგენთ

## ყოფნა-არყოფნა?

# ჟუდი მოიხადეთ, ეს სპორტის აკადემიაა...

არ არის გულგრილი ჩვენი საზოგადოებრიობა ქართული სპორტის მიმართ და მტკივნეულად განიცდის, რომ ცა რაიმე საფრთხე ემუქრება ამ ეროვნულ სიამაყეს. პედაგოგიურ ფაკულტეტად სხვა უმაღლეს სასწავლებელთან 70 წლოვანი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ინტეგრაცია, შეშფოთებით აღიქვა ჩვენმა საზოგადოებრიობამ, განსაკუთრებით სპორტულმა სამყარომ - მისმა ყველაზე პოპულარულმა და ავტორიტეტულმა ნარმომადგენლობამ. მათგან ერთმა ნაწილმა აკადემიის კედლებში მიიღო უმაღლესი სპეციალური განათლება, სხვებმა ყველაზე უკეთ იციან, რომ ეს სასწავლებელი საქართველოსა და მსოფლიოში სპორტული განათლებისა მეცნიერების აღიარებული კერაა.

გუშინ, ეს ადამიანები აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად თავიანთი პოზიციის დასაფიქსირებლად აკადემიის წინ შეიკრიბნენ. ამ ხალხის საქმე არასდროს ყოფილა და დღესაც არ არის მიტინგობანა, მაგრამ დედააკადემიის სტატუსისა და პირადი ღირსების დასაცავად შეიკრიბნენ. არსად, არასდროს გვინახავს, არც გვსმენია ასე გულნრფელი, შეუნილბავად ალალი, უქვეტექსტო გამოსვლები. სულიერად და ფიზიკურად სრულყოფილ ადამიანებს სხვაგვარად არ ძალუძთ. ამაში დაგვეთანხმება, ვინც მათი გამოსვლები იქვე ან ტელევიზიით მოისმინა. რას ითხოვდნენ ოლიმპიური ჩემპიონები **რობერტ შავლაყაძე** და **შოთა ხაბარელი,** მსოფლიოს ჩემპიონი **რუსუდან სიხარულიძე,** პროფესორები **ჯემალ გუგუშვილი, გურამ ძაგანია, დურმიშხან ჩიტაშვილი, შოთა ბუაძე, მამია ტულუში,** ადმინისტრაციის უფროსი **ირაკლი დოლაბერიძე,** დარგობრივი პროფკავშირის თავკაცი **ირონდი ბეჟაშვილი?** აკადემიის სტატუსის შენარჩუნებას - ეს იყო და ეს. სხვა დანარჩენი თავისთავად მოიაზრება. ესაა - ტრადიციებისადმი ერთგულება და მისი შენარჩუნება-გაღრმავება, უმაღლესი კატეგორიის სპეციალისტების აღზრდა, სპორტის მეცნიერული კვლევა, პირდაპირი კავშირები მსოფლიოს ამავე პროფილის უმაღლეს სასწავლებლებთან, საერთო ევროპულ ღირებულებებთან ინტეგრაცია, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამები. და კიდევ, ჩვენთან სასწავლებლად ჩამოდიან უცხოელები სწორედ იმიტომ, რომ დიდია მთელ მსოფლიოში ჩვენი სპორტის აკადემიის ავტორიტეტი, რაც განაპირობებს სპეციალისტთა მომზადების მაღალი დონე.

დრო დადგება, არაერთ სფეროში მოვიწონებთ თავს მიღწევებით საერთაშორისო სარბიელზე, მაგრამ დღეს სპორტს ეკუთვნის პრიორიტეტი და ისაა ჩვენი სავიზიტო ბარათი. *"ჩვენს სპორტის აკადემიაში აღზრდილი სპეციალისტებით, არა მხოლოდ საქართველოში, საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაშიც ამაყობენ"* - ესეც ითქვა ზემოხსენებულ შეკრებაზე.

ჩვენი სპორტის აკადემია დაარსებიდან 70 წლისთავის იუბილეს მოლოდინშია. საზოგადოებრიობა აკადემიის დამსახურების ღირსეულად დაფასებას ელოდება და არა მის გაუქმებას. ეს ადგილი ქართული სპორტის მექაა, რამდენჯერმე პირადად მინახავს, ყოფილ სტუდენტებს აკადემიის შენობასთან ჩავლისას თუ მის კედლებში შესვლისას, ქუდი როგორ მოუხდიათ და ქედი მოუხრიათ მის წინაშე. სულ რაღაც 300 ათასი ლარია აკადემიის წლიური დაფინანსება, დანარჩენს სტუდენტები თავად იხდიან.

შეკრებილებმა მიმართვა გაუგზავნეს ქვეყნის პრეზიდენტს, საქართველოს პატრიარქს, კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის მინისტრს.

გასული საუკუნის 30-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გამოეყო ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტი და დამოუკიდებელ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. იმედია, ახლა 70 წლის წინანდელ წარსულში არ დავბრუნდებით...

**თენგიზ გაჩეჩილაძე,**
**ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ასოცირებული პროფესორი**

# ვის სჭირდება ეს?

**განათლების** სისტემის რეფორმა მნიშვნელობით მართლაც რომ გამორჩეულია, რადგან მთლიანად ცვლის სისტემას, რომელიც აქამდე არსებობდა. რეფორმების დადებითი ეფექტი თვალსაჩინოდ გამოვლინდა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებაში, სადაც მინიმუმამდეა დაყვანილი კორუფცია და პროტექციონიზმი. სადღეისოდ დადგა საკითხი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ი. ჭავჭავაძის პედაგოგიურ უნივერსიტეტთან მიერთებაზე. მაგრამ როდესაც მას არავითარი სასარგებლო ეფექტი არ გააჩნია, ბუნებრივად ისმება კითხვა - ვის სჭირდება ეს?

ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ევროპისა და ამერიკის გამოცდილებას. საყოველთაოდ ცნობილია ბოლონიის პროგრამა, რომელიც ინერგება საქართველოს უმაღლეს სკოლებში.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპულ ქვეყნებს, რომლებიც მიერთებულნი არიან ბოლონიის პროცესს, არ განუხორციელებიათ ფიზიკური აღზდის ინსტიტუტის მიერთება არც უნივერსიტეტებთან და არც პედაგოგურ უნივერსიტეტებთან. ალბათ აუცილებელია, მკითხველს შევახსენოთ, რომ გერმანიაში ფუნქციონირებს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის 6 უნივერსიტეტი. იგივე მდგომარეობაა იტალიაში; ფინეთში, რომლის მოსახლეობა რაოდენობრივად საქართველოს მოსახლეობის ტოლია მოქმედებს 3 პროფილის უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის 2 უნივერსიტეტისა და 3 ინსტიტუტის სტატუსით. აღარაფერს ვამბობ რუსეთზე; არც ჩვენს მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში შეხებიან ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ინსტიტუტებს.

საქართველოში კი ამ 70 წლის წინათ დაარსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის ერთი ინსტიტუტია და ისიც ფაკულტეტის სტატუსით უნდა შეუერთონ სხვა სასწავლებელს.?

ევროპულ და სხვა ქვეყნებში კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ინსტიტუტების კურსდამთავრებულები - ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები და მწვრთნელები მუშაობენ არამარტო მოსახლეობის გაჯანსაღებაზე და სპორტსმენთა აღზრდაზე, არამდე დიდად უწყობენ ხელს იმ ურთულესი სოციალური პრობლემის მოგვარებას, როგორებიცაა არასრულწლოვანთა დანაშაული და ნარკომანია. ბოლო დროის რეალობამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ ეს მოვლენები საქართველოში ფართოდაა გავრცელებული.

თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში არსებობს ეკონომიკური ეფექტიანობის ცნება, რომელიც მთელ საზოგადოებრივ წარმოებაზე ვრცელდება. ეს ცნება არ უნდა გავრცელდეს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის დამოუკიდებლად არსებობის ხარჯზე.

**თამაზ პაიჭაძე,**
**ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ასოცირებული პროფესორი**

## სუმო

# ქართული იორიკირის დღე

**ნაგოიას ბაშო**
**ივლისის სუპერტურნირი**
8-22 ივლისი, ნაგოია (იაპონია)

**ნაგოიას ბაშოს** მესამე დღეს **კოკაიმ** გამარჯვება იზეიმა, მან იორიკირით **ფუტენო** დაამარცხა. სხვათა შორის, ქართველმა ტაქტიკა შეცვალა, დაჯახების შემდეგ ინიციატივა მეტოქეს გადააბარა და მას მავაშში ჩაჭიდების საშუალებაც მისცა. ფუტენომ ამით ვერ ისარგებლა, კოკაიმ ძალა მოიკრიბა და მეტოქე დოჰიოდან განდევნა. დღეს კოკაის მეტოქე მერვე მაეგაშირა **კაკურიუ** იქნება, რომელსაც ლევან ცაგურია ურთიერთშეხვედრებში 2:1-ს უგებს.

ბაშოზე ოთხი დაუმარცხებელი რიკიში დარჩა, ახალი იოკოძუნა მონლოლი **ჰაკუჰო**, ნაგოიას პრეფექტურის მკვიდრი და ფანთა ფავორიტი სეკივაკე **კოტომიცუკი**, ოსი გოლაითი **როჰო** და **კიტაძაკურა**. მათ კვალში 16 რიკიში უდგას 2-2 მოგებით, კოკაიც მათ შორისაა.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში მეორე გამარჯვება იზეიმა **თეიმურაზ ჯუელმა** (**გაგამარუ**), დივიზიონის 39-ე ნომერმა იორიკირით **რიუგი** დაამარცხა. გაგამარუს 2-0 ბალანსი აქვს. **ლევან გორგაძე** (**ტოჩინოშინი**) გუშინ ისვენებდა, მისი ბალანსი 1-0 არის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ნაგოიას ბაშო**

**ივლისის სუპერტურნირი**
8-22 ივლისი, ნაგოია (იაპონია)

III დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები:

**კოკაი-ფუტენო 1:0 (იორიკირი), ასაშორიუ-დეჯიმა 1:0, ჰაკუჰო-ვაკანოსატო 1:0, კოტოოშუ-ტაკეკაძე 1:0, კაიო-ამინიშიკი 1:0, როჰო-ჩიოტაიკაი 1:0, კოტომიცუკი-ასასეკირიუ 1:0, ტოკიტენკუ-ამა 1:0, კოტოშოგიკუ-ტოიონოშიმა 1:0, ჰომაშო-ტაკამისაკარი 1:0, მიაბიამა-ტოჩიოძანი 1:0, ტამანოშიმა-კაკურიუ 1:0.**

სატურნირო მდგომარეობა: **3-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა), კოტომიცუკი (სეკივაკე), როჰო (მაეგაშირა 3), კიტაძაკურა (მ 11); 2-1: აქვს 16 რიკიშის, მათ შორის კოკაის (მ 9).**

IV დღე: **კოკაი-კაკურიუ, ჰაკუჰო-ტაკეკაძე, როჰო-ასაშორიუ, კაიო-ვაკანოსატო, ჩიოტაიკაი-ტოკიტენკუ, კოტოოშუ-ტაკამისაკარი, ამა-ტოიონოშიმა, ამინიშიკი-კოტომიცუკი, ასასეკირიუ-კოტოშოგიკუ, დეჯიმა-ტამანოშიმა, მიაბიამა-კისენოსატო, ჰომაშო-ფუტენო, რიუო-ტოჩიოძანი.**

## ძიუდო

# ბრაზილიამდე ორი თვით აღრე

**საქართველოს** ნაკრებმა დაამთავრა მინსკში, სტაიკის ოლიმპიურ ბაზაზე შეკრება და კვირას სამშობლოში დაბრუნდა. ნაკრების თავკაცი **შოთა ხაბარელი** ფრიად კმაყოფილია ამ ერთობლივი ვარჯიშებით. მინსკში 29 ქვეყნის 400-მდე ძიუდოისტი შეიკრიბა, მათ შორის, იაპონია, საფრანგეთი, რუსეთი, ბრიტანეთი, ჰოლანდია და გერმანია. თანაც, ყველა წამყვანი ნაკრები პირველი შემადგენლობით ჩავიდა. იაპონელებს 35 სპორტსმენი ჰყავდათ. ძიუდოს მამამთავრებმა მსოფლიოსა და სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ **ტადაჰირო ნომურას** (60) გარდა, პრაქტიკულად, ყველა უძლიერესი ჩაიყვანეს - **მასატო უჩიშიბა** (66), **ჰიროში იზუმი** (90), **ტაკამასა ანაი** (100), **კეიძი სუძუკი, კოსეი ინუე, იასუიუკი მუნეტა, იოჰეი ტაკაი** (ყველა - +120). ამათგან ოლიმპიური და მსოფლიო პირველობების მედალი ჯერ მხოლოდ ანაის არ მოუპოვებია, რადგან იმ შეჯიბრებებზე ჯერ არც უჭიდავია. ამ რანგის ტურნირთაგან კი ყველაზე დაბალი რანგის მედალოსანი ტაკაია - „მხოლოდ" მსოფლიოს პრიზიორი, დანარჩენები კი მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონები გახლავან. ზოგი - არაერთგზისაც. ცხადია, ასეთ ფალავნებთან წვრთნები ყველას ნაადგება. მათ შორის - ჩვენებსაც.

სამწუხაროდ, იაპონელები ჯერ იმდენად ასაიდუმლოებენ სექტემბერში ბრაზილიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე წასაყვან შემადგენლობას, რომ ამაზე ჩვენებმა მინსკში ვერაფერი შეიტყვეს. ხაბარელმა მხოლოდ ის გვითხრა, რომ მძიმე და აბსოლუტური წონებისთვის ინტენსიურად ემზადება ოთხი კაცი - უკვე საკმაოდ მობერებული ინუე, სუძუკი, აქამდე ჩრდილში შეგნებულად გამდგარი მუნეტა და ტაკაი. რაც შეეხება 100-ს, ხაბარელის თქმით, აქ ანაის დააყენებენ, მაგრამ კაცმა არ იცის, მართლაც ფენომენალური სუძუკი რას იზამს - მას ხომ 90-ის ზევით, სამივე წონაში ერთნაირი წარმატებით შეუძლია ჭიდაობა. აკი მსოფლიო ჩემპიონი 100-ში და აბსოლუტურში გახდა, ოლიმპიური - მძიმეში.

ფრანგებს მართლაც არ ჰყოლიათ ევროპის ჩემპიონი **ბენჟამენ დარბელე** (66), რომელიც უდისციპლინობისთვის ნაკრებიდან გააგდეს. არ გვგონია, იგი საბოლოოდ მოკვეთონ - ფრანგებს ხომ მსოფლიო ჩემპიონ **ლარბი ბენბოდაუდის** შემდეგ ამ დონის ფალავანი არათუ აქ, საერთოდ, მჩატე წონებში არ ჰყავთ. ჯერ ისიც არ გარკვეულა, წაიყვანენ თუ არა მას ბრაზილიაში, მაგრამ ახლანდელი გარიყვა მსოფლიოსთვის მზადებაში ხელს ნამდვილად შეუშლის, რაც **ზაზა კედელაშვილს** წისქვილზე ასხამს წყალს.

ჩვენი ნაკრები რამდენიმე დღე თბილისში დაისვენებს, მერე კი ბაკურიანში გაემგზავრება საერთო ფიზმომზადებისთვის განკუთვნილ შერკებაზე. ამას ბორჯომის შეკრება მოჰყვება, დასკვნით ეტაპს კი აკლიმატიზაციის მიზნით ბრაზილიაშივე გაივლიან. მათ ოლიმპიური ფონდი დააფინანსებს.

**ირაკლი თავაძე**

# პლუს 7, მინუს 1

**პლაეგბურთი.** მონრეალში დასრულებული მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპის შემდეგ პლაეგბურთის ქალთა ქართულმა წყვილმა საქა-რთველომ რეიტინგში შვიდი საფეხურით წინ წაინია და 602 ქულით ახლა 32-ე ადგილზეა. თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ბერლინში გასამართ დიდი სლემის ტურნირზე ძირითად ბადეში მოსახვედრად. საქა-რთველო ასპარეზობას გერმანიაში დღეს საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებს.

სამაგიეროდ ძირითად ბადეშია ვაჟთა წყვილი გეორ-გია, რომელმაც მონრეალში შედარებით უარესად იასპარეზა და რეიტინგში ერთი საფეხურით დაქვეითდა. ჩვენი ფრენბურთელები ახლა 1750 ქულით მე-14 ადგილზე არიან.

# მაგრაქველიძე მარსანში

**რაგბი.** საქართველოს ნაკრების პირველხაზელი **მამუკა მაგრაქველიძე** საფრანგეთის მეორე დივიზიონის "მეტრო რასინგიდან" ამავე ლიგის "მონ დე მარსანში" გადავიდა - იმ კლუბში, ვისთანაც ორიოდ კვირის წინ კიდევ ერთმა ბორჯღალოსანმა, გარემარბმა **ირაკლი მაჩხანელმა** გააფორმა ხელშეკრულება. წლეულს მეორე დივიზიონში ქართველ მორაგბეთა სარეკორდო რაოდენობა, 12 ითამაშებს. სარეკორდოა კლუბების რიცხვიც - ცხრა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ანონსი

**რაგბი. საქართველოს თასი**

**11 ივლისი**

**18.00 ლელო-ხარები ვაკე**

საქართველოს რაგბის კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაცვალა "ლოკომოტივის" ვეტერანი მორაგბე, სსრკ თასის მფლობელი, ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი

**ზურაბ ჩარანიძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

## ქეღრეჟი

ევროპის გუნდური ჩემპიონატი

# რეიტინგი არის, ნაკრები?

## გასარკვევი მეხუთე დაფაა

ნინო გურიელის აზრით, მაია ლომონეიშვილი ნაკრებში თამაშს იმსახურებს

**1 ივლისს ფიდემ ახალი რეიტინგ-ლისტი გამოაქვეყნა, რის შესახებაც თავის დროზე გაცნობეთ კიდეც. ქართული საჭადრაკო სამყაროსთვის, კერძოდ ვაჟთა ნაწილისთვის ამ მოვლენას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა - საქართველოს ვაჟთა ნაკრების დაკომპლექტებაზე უნდა მოეხდინა გავლენა. გუშინ ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ხვიჩა სუპატაშვილს დავუკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ.**

**- ორიოდ თვის წინათ ჩვენთან საუბარში აღნიშნეთ, რომ ახალი რეიტინგების მიხედვით დააკომპლექტებდით გუნდს ევროპის გუნდური ჩემპიონატისთვის. რეიტინგი ხელთ გაქვთ, ნაკრებში ვინ ითამაშებს?**

- საბოლოო ვარიანტი ჯერ არ არსებობს, საკითხი თითქმის გადაწყვეტილია: გუნდში არიან ბაადურ ჯობავა, როგორც საქართველოს ჩემპიონი, დავით არუთინიანი, როგორც მეორეადგილოსანი, ასევე ლევან ფანცულაია და მერაბ გაგუნაშვილი. დარჩენილია მეხუთე კანდიდატი და ამ საკითხს ალბათ მალე მოეფინება ნათელი, თუმცა, ჩემი აზრით, მეხუთე თამაზ გელაშვილი უნდა იყოს.

**- რატომ? ახლა რეიტინგში პირველი ზვიად იზორრიაა, რომელიც არ დაგისახელებიათ; მესამე კი - მიხეილ მჭედლიშვილი - არც მასზე ამბობთ რამეს, როცა გელაშვილი მერვეა. რა არის ამის მიზეზი?**

- იზორრიამ თვითონ განაცხადა უარი ნაკრებში თამაშზე და ესეც რომ არ იყოს, საქართველოს ჩემპიონატში არ ითამაშა, რაც ავტომატურად ართმევს ნაკრებში გამოსვლის უფლებას. ამავე მიზეზით ვერ ითამაშებს აზმაიფარაშვილიც. მიხეილ მჭედლიშვილს რაც შეეხება, მას ამჟამად გელაშვილზე მეტი რეიტინგი კი აქვს, მაგრამ ჩვენ ვითვალისწინებთ ბოლო სამი კვარტლის საშუალო მაჩვენებელს. ამით კი გელაშვილი მჭედლიშვილს უსწრებს.

**- თუ ასეა, გია გიორგაძეს უფრო მეტი ხანია, სტაბილურად მაღალი რეიტინგი აქვს...**

- გეთანხმებით, მაგრამ გიას პარტიათა რაოდენობა არა აქვს სათანადო. მართალია, გელაშვილს მცირედით უსწრებს, მაგრამ წლის განმავლობაში ცოტას თამაშობს, რაც რეიტინგის შენარჩუნებას უწყობს ხელს, მაშინ როცა გელაშვილი ათეულობით პარტიას მართავს და რეიტინგის დაკარგვის ალბათობაც უფრო მეტია...

**- საბოლოოდ, როდის დაკომპლექტდება გუნდი?**

- ზუსტ დროს ვერ გეტყვით, ამას ფედერაციის გამგეობა გადაწყვეტს, მაგრამ დიდხანსაც არ გაგრძელდება - აუცილებელია, გუნდი შეიკრას და მოსამზადებელი ეტაპი გაიაროს, რათა ოქტომბრისთვის ევროპის ჩემპიონატს კარგ ფორმაში შევხვდეთ.

**კაცთა ნაკრებისგან განსხვავებით, ქალთა ნაკრებში თითქმის ყველაფერი გარკვეულია, თუმცა სხვა პრობლემები არსებობს - მიიღებენ თუ არა გუნდის კაპიტნის, ნინო გურიელის მიერ წარმოდგენილ ვარიანტს. ქალბატონმა ნინომ ნაკრების მისეული ვარიანტი გაგვაცნო: მაია ჩიბურდანიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, ქეთევან არახამია-გრანტი და მაია ლომინეიშვილი. თავადვე გვითხრა, რომ შესაძლოა წინააღმდეგობა შეხვდეს, მაგრამ მას ეს შემადგენლობა დღეისთვის უძლიერესად მიაჩნია და თუ გამგეობა არ დაეთანხმება, მაშინ თანამდებობიდან გადადგება.**

**- ქალბატონო ნინო, რამ განაპირობა ასეთი არჩევანი?**

- პირველ რიგში, მონაწილეთა დღევანდელმა საჭადრაკო ფორმამ - მაია ჩიბურდანიძე კვლავ ამტკიცებს თავის ძალას და მისი კანდიდატურა არავიში იწვევს ეჭვს; ლელა ჯავახიშვილიც - მისი ბოლოდროინდელი მაჩვენებლები, ყველა კითხვაზე სცემს პასუხს. ჩემი აზრით, ხურციძეც საჭირო კონდიციაშია, ხოლო არახამიაში იმდენად ვარ დარწმუნებული, რომ სხვა კანდიდატურა არც განმიხილავს. სხვათა შორის, ვიდრე გადაწყვეტილებას მივიღებდი, ბევრ სპეციალისტთან გავიარე კონსულტაციები და ყველა დამეთანხმა. საკამათო მეხუთე წევრის შერჩევის საკითხი იყო, მაგრამ ვთვლი, რომ დღეისთვის მაია ლომინეიშვილია სხვებზე ძლიერი და მან ნაკრებში უნდა ითამაშოს.

**- თქვენ გუნდის კაპიტანი ხართ, თუმც მთავარი მწვრთნელი თქვენი მეუღლე ზურაბ სტურუაა. მისი აზრი როგორია - მოლიანად გეთანხმებათ?**

- სხვათა შორის, რიგ საკითხებში ზურაბს განსხვავებული აზრი ჰქონდა. მაგალითად, ის მიიჩნევდა, რომ შესარჩევი ტურნირის ჩატარება უფრო მართებული იქნებოდა, თუნდაც ლომინეიშვილსა და ნანა ძაგნიძეს შორის. მაგრამ ვთვლი და, სხვებიც დამეთანხმნენ, რომ ძაგნიძე ამჟამად ვერ არის სათანადო ფორმაში, თუმც პოტენციურად მას დიდი შესაძლებლობები აქვს. ერთი სიტყვით, ჩემი ხედვა ასეთია და გამგეობის ნებაა, დამეთანხმება თუ არა. თუ წინააღმდეგი წავიდნენ, მაშინ მე გუნდთან არ ვიმუშავებ.

**- როდის უნდა გააცნოთ ეს საკითხი გამგეობას?**

- გამგეობის სხდომას ფედერაცია ნიშნავს, ამიტომ თარიღს ვერ მოგახსენებთ. თუმც, შესაძლოა, არც კი გახდეს საჭირო გამგეობის სხდომის მოწვევა, - ცხადია, იმ შემთხვევაში, თუკი საპირისპირო აზრი არ იარსებებს და პრეტენზიას არავინ გამოთქვამს.

**- დამეთანხმებით, გუნდის დაკომპლექტება საჩქარო საქმეა - მოსამზადებლად თქვენ გარკვეულ პირობებს და დროსაც ითხოვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგის გარანტიას არ იძლევით...**

- მართალი ბრძანდებით. თუკი სათანადო ხელშეწყობა იქნება და ნაკრები გრძელვადიან შეკრებას გაივლის, ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე, რომელიც საბერძნეთში, ოქტომბრის მეორე ნახევარში გაიმართება, მედლებისთვის აუცილებლად ვიბრძოლებთ და არც ჩემპიონობას გამოვრიცხავ. ჩემი გეგმით, ევროპის ჩემპიონატამდე მინიმუმ ორკვირიანი შეკრება უნდა გავიაროთ და შესანიშნავი იქნება, თუ ამას თურქეთში შევძლებთ. საქმე ის გახლავთ, რომ მაია ჩიბურდანიძეც და ნაკრების რამდენიმე წევრიც თურქულ კლუბებში თამშაობენ და ერთ-ერთი ტური ევროპის ჩემპიონატამდე ორიოდ კვირით ადრე ტარდება. ძალიან კარგი იქნება, თუ ამ გოგოებს თურქეთშივე დავტოვებდით, დანარჩენებს შევეურთებდით და შეკრებას გავმართავდით. ამით დროსაც დავზოგავდით, ხარჯსაც და ნერვებსაც - მაინც თურქეთიდან უნდა გავემგზავროთ საბერძნეთში და არ ჯობია, შეკრება იქვე გავიაროთ?! მით უფრო, რომ თურქეთში ცხოვრებისა და მომზადებისთვის ბრწყინვალე პირობებია.

**- სექტემბრამდე შეკრებას არ აპირებთ?**

- სრული შემადგენლობით ვერ მოხერხდება, რადგანაც ყველას თავიანთი გეგმა აქვს და სხვადასხვა ტურნირებში თამაშობს. ესეც კარგია - ძლიერ ტურნირებში თამაში პრაქტიკასაც შესძენთ და უკეთ მომზადებაშიც დაეხმარებათ. გარწმუნებთ, რომ ყველა ნაბიჯი აქედანვე გათვლილი გვაქვს და წარმატების დიდი იმედიც გაგვაჩნია, - მთავარია გვენდონ და მხარში ამოგვიდგნენ...

**ზვიად შათირიშვილი**

# კვარტეტი ესპანეთში

ესპანეთის ქალაქ ბენასკში 27-ე საჭადრაკო ფესტივალი მიმდინარეობს, სადაც ოთხი ქართველი დიდოსტატი მონაწილეობს: **ბაადურ ჯობავა, ლევან ფანცულაია, თამაზ გელაშვილი** და **ლევან აროშიძე.** ფესტივალი ტრადიციული და საკმაოდ მასშტაბურია - სულ 450-მდე მონაწილეა. აქედან დიდოსტატთა რაოდენობა 33-ს აღწევს. ცხადია, მონაწილეთა დიდი ნაწილი ადგილობრივი, დაბალი დონის მოჭადრაკეები არიან, თუმცა კლასიანი მოჭადრაკეთა ნაკლებობაც არ შეინიშნება, რაც ტურნირის საშუალო დონეს საკმაოდ ამაღლებს...

ქართველი მოჭადრაკეები უპირველესი ფავორიტები არიან, რაც მათი რეიტინგებით არის განპირობებული. ბაადურ ჯობავა პირველია ამ მაჩვენებლით - 2644; ლევან ფანცულაია მეორეა - 2611; თამაზ გელაშვილი - მესამე - 2604; ლევან აროშიძე კი 2470 ქულით 27-ეა. ფესტივალში მეხუთე ქართველიც თამაშობს - **ელიზბარ უბილავა,** მაგრამ ამჟამად ბატონი ელიზბარი ესპანეთის სახელით თამაშობს. მოგეხსენებათ, ელიზბარ უბილავა მრავალი წელია ესპანეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს და ესპანეთის მოქალაქეობაც მიიღო. მიუხედავად ამისა, ბოლო დრომდე იგი საქართველოს სახელით ასპარეზობდა, - ესპანეთის დროშით ორიოდ წელია, რაც თამაშობს.

შეჯიბრზე ხუთი ტურია ჩატარებული, დარჩა - 4. ქართველები სტატუსს ამართლებენ, თუმცა ერთპიროვნულად ვერც ერთი ლიდერობს - ჯობავა, ფანცულაია, გელაშვილი და უბილავა 4.5 ქულით მესამე-მეთორმეტე ადგილებს იყოფენ; ლევან აროშიძეს 4 ქულა აქვს და 37 "ოთხოსანთან" ერთად კვალში უდგას ლიდერთა ჯგუფს. ლიდერებად რუსი **არკადი როდშტინი** და ყაზახი **საიდაი იულდაშევი** არიან - ამათ მაქსიმალური - 5 ქულა აქვთ. სხვათა შორის, ჯობავას, გელაშვილსა და ფანცულაიას ოთხი ტურის შემდეგ 4 ქულა ჰქონდათ, მაგრამ მეხუთეში სამივემ ყაიმით დაასრულეს შეხვედრები: ჯობავამ თეთრებით ვერ მოუგო **რაშად ბალაევს;** ფანცულაიამ შავებით გაიყო ქულა **ფელიქს ლევინთან,** ხოლო გელაშვილმა თეთრებით გააყაიმა **ვინაი ბჰატისთან.**

მეექვსე ტურში ლიდერები ერთმანეთს ხვდებიან; ჯობავა შავებით **ვლადიმირ პეტკოვს** უპირისპირდება; ფანცულაია თეთრებით **პაველ იარაჟს** შეუტევს; გელაშვილი **რაშად ბაბაევს** შავებით დამარცხებას ეცდება; უბილავა თეთრებით **მათიას როიდერთან** იპაექრებს, ხოლო აროშიძის მეტოქე **ლუის ფუენტესი** იქნება; თეთრებით ქართველი ითამაშებს.

ტურნირი შვეიცარული სისტემით, 9 ტურად იმართება.

**ზვიად შათირიშვილი**

## ჩოგბურთი

### ჩახნაშვილი ბელას მერვედფინალში



მაკა ჩახნაშვილი

საქართველოს პირველმა ჩოგანმა **მაკა ჩახნაშვილმა** (145) იტალიის ქალაქ ბიელას ტურნირის (საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარი) მერვედფინალში საკვალიფიკაციო ბადიდან გააღწია. ჩახნაშვილი საკვალიფიკაციო ბადეში პირველ ნომრად იყო განთესილი, ფინალურ წრეში მან ბელარუსი **დარია კუსტავა** (197) დაამარცხა - 2:6, 7:6 (6), 6:1. გუშინ ძირითადი ბადის პირველ წრეში ჩახნაშვილმა "იღბლიან წაგებულს", არგენტინელ **ნატალია გუსონის** მოუგო - 6:3, 7:6.

მაკა ჩახნაშვილი მერვედფინალშია, სადაც მას, სავარაუდოდ, ტურნირის პირველი ჩოგანი, გერმანელი **მარტინა მიულერი** შეხვდება. მიულერი მსოფლიოს 34-ე ჩოგანია და 100-ათასიან ტურნირში მხოლოდ იმიტომ მონაწილეობს, რომ ეს კვირა კალენდარში "ფედერაციის თასი-საა" და WTA-ს ტურნირები არ იმართება.

### ქართული დუელი ბოსტონში

ბოსტონში (აშშ) 50-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში სულ მცირე ორი ქართველი იქნება, რადგან **ანა ტატიშვილი** რეიტინგით მოხვდა ბადეში, ხოლო საკვალიფიკაციო ტურნირის ფინალურ წრეში ორი ჩვენებური ერთმანეთს ხვდება. **სოფიო მელიქიშვილი** და **სალომე დევიძე** ერთად ვარჯიშობენ ამერიკაში, ტურნირებზეც ხშირად ერთად დადიან, თქვენ წარმოიდგინეთ, კარიერაში ჩავარდნაც ლამის ერთად მოუვიდათ, მაგრამ კორტზე ოფიციალურ მატჩში ისინი აქამდე ერთმანეთს არ შეხვედრიან, დღეს კი მოუნევთ.მეორე საკვალიფიკაციო წრეში სოფიო მელიქიშვილმა ზელანდიელი **შონა ლი** დაამარცხა - 6:7, 6:3, 7:5. ხოლო სალომე დევიძემ ამერიკელ **ჯენიფერ თაჩბენდს** აჯობა - 2:6, 7:6, 6:3. ამასობაში ძირითად ბადეში ანა ტატიშვილის მეტოქეც გაირკვა - 18 წლის ამერიკელი **მერი გემბეელი.**

### ქვაცაბაია ტაი-ბრეიკში დამარცხდა

სოფიო ქვაცაბაია სერბეთში პროკუპოეს ტურნირში (10 ათასი დოლარი) ასპარეზობდა, სადაც რეიტინგის წყალობით მოხვდა ძირითად ბადეში. 18 წლის ქართველი პირველ წრეში მესამე ნომრად განთესილი არგენტინელ **ვანესა ფურლანეტოს** (553) შეხვდა, რომელთანაც სამ სეტში დამარცხდა - 3:6, 7:6, 6:7. გადამწყვეტი ტაი-ბრეიკი ქართველმა 6:8 დათმო.

### კუხალაშვილი გერმანიაში

გამოქვეყნდა 18-წლამდელ ჩოგბურთელთა რეიტინგ-ლისტი. გოგონათა შორის უიმბლდონის მერვედფინალისტი **ოქსანა კალაშნიკოვა** კვლავ 21-ე პოზიციაზეა 592,5 ქულით. ვაჟებში **ლაზარე კუხალაშვილი** 317,5 ქულით მხოლოდ 89-ე ჩოგანია (არადა, წლის დასაწყისში ლაზარე 36-ე პოზიციაზე იყო). დაღმასვლის მიზეზი კი ხშირი უქმობაა, წლეულს მას ჯამში სამ თვეზე მეტი გაუცდა. მაისის შემდეგ კუხალაშვილი პირველად დაუბრუნდა კორტებს - გერმანიაში ქვეყნის ახალგაზრდულ ღია პირველობაში, რომელიც პირველი კატეგორიის ტურნირია. ესენში "ჯერმან ჯუნიორ ოუფენზე" 16 წლის ქართველი მე-11 ნომრად განთესეს. პირველ წრეში ჩვენებურის მეტოქე გერმანელი **რალფ რეგუსია.**

აქვე აღვნიშნავთ 15 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილის** წარმატებასაც. მას 18-წლამდელთა ასპარეზზე დებიუტი აპრილში ჰქონდა. ახლახან კი ჰოლანდიის ახალგაზრდულ ღია პირველობაზე (მეორე კატეგორიის ტურნირი) ბასილაშვილმა საკვალიფიკაციო ბადე წარმატებით გაიარა, ძირითადში ორ მეტოქესაც მოუგო და მხოლოდ მერვედფინალში დამარცხდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ჭიდაობა

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

# ექვსიდან სამი დაგვრჩა

**სერბეთის** ქალაქ სომბორში დაიწყო ახალგაზრდა მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი. ჯერჯერობით, ასეთი ინფორმაცია გვაქვს. ექვსი მოკრივიდან, სამი უკვე გამოეთიშა შეჯიბრებას. 54 კილოგრამ წონით კატეგორიაში **კახა ლაზარაშვილი** დაძაბულ ორთაბრძოლაში დამარცხდა უნგრელ გერგოსთან – 23:24. 60 კილოგრამში **ამირან ჯანჯღავამ** რუს **შიპუნოვთან** დაყარა ფარ-ხმალი – 8:19. **გაგა ელიაშვილმა** (69 კგ) კი ფრანგ **ტავარესთან** წააგო – 8:17.

ერთადერთი გამარჯვება შეჯიბრების პირველ დღეს მოვიპოვეთ, როდესაც **გიორგი ხუტაშვილმა** (64 კგ) ლატვიელი **სინკევიჩი** დაამარცხა (18:12) და მეორე წრეში გავიდა. დღეს პირველ ორთაბრძოლებს ჩაატარებენ **გიორგი დოლენჯაშვილი** (75 კგ) და **დავით გოგიშვილი** (81 კგ).

**კობა ხატისაშვილი**

ტურ დე ფრანსი

# კანჩელარას მეორე გამარჯვება

კანჩელარა გამარჯვებას ზეიმობს

გუშინდელი, მიმდინარე ტურ დე ფრანსის ყველაზე გრძელი (236.5-კილომეტრიანი) ეტაპის მინურულს წამოწყებული სპურტის ნყალობით, ლიდერის ყვითელი მაისურით მოსაპარეზე შვეიცარიელმა **ფაბიან კანჩელარამ** შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, პირში ჩალაგამოვლებულები დატოვა სპრინტის აღიარებული ოსტატები.

კანჩელარამ, ვისაც წინა ეტაპზე მომხდარი ინციდენტის დროს მარცხენა ხელის მაჯა დაუზიანდა, სპურტი ფინიშამდე 300 მეტრით ადრე წამოინყო და სანტიმეტრიც კი არ დაუთმო ტურის მწვანე მაისურის ექვსგზის გამარჯვებულს, გერმანელ **ერიკ ცაბელსა** და სპრინტის იტალიელ სპეციალისტ **დანილო ნაპოლიტანო.**

"ძალიან გრძელი ეტაპი იყო. ფინიშის სიახლოვეს, როცა დავინახე ოთხი დანინაურებული, რომლებსაც მთელი ეტაპის განმავლობაში ვერ ვეწეოდი, გავიფიქრე, რომ თუ არ დავეწეოდი, ყვითელი მაისურის დათმობა არ ამცდებოდა. ვიცოდი, რომ ეტაპის ბოლო მონაკვეთზე ქვაფენილი უნდა ყოფილიყო და ეს გარკვეულ შანსს მაძლევდა. ჰოდა, მეც გავრისკე და ბედნიერი ვარ, რომ მიზანს მივაღწიე", - ნაფინიშევს განაცხადა კანჩელარამ, ვინც ნომინალურად დროზე ინდივიდუალური რბოლების სპეციალისტია.

სხვათა შორის, ეტაპი ზუსტად იქ დასრულდა, სადაც პარიზი-რუბეს რბოლა იწყება ხოლმე. თანაც, გუშინდელ ეტაპზე ამ კლასიკურის მარშრუტში შემავალი ზოგიერთი მონაკვეთიც იყო გამოყენებული. ოღონდ, იმ ქვაფენილების გარეშე, რომელთა გამოც, პარიზი-რუბეს რბოლას ხშირად ჩრდილოურ ჯოჯოხეთსაც უწოდებენ ხოლმე. ცნობისთვის, კანჩელარას პარიზ-რუბეს კლასიკური შარშან აქვს მოგებული.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### ტურ დე ფრანსი

მესამე ეტაპი. ვარეგემიდან კომპინიემდე (236.5 კმ)

1. ფაბიან კანჩელერა (შვეიცარია, CSC) 6.36.15 (35.81 კმ/სთ); 2. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი) იგივე დროში; 3. დანილო ნაპოლიტანო (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი); 4. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი); 5. რობერტ პანტერი (სამხ.აფრიკა, ბარლოუორლდი); 6. რობერტ ფიორსტერი (გერმანია, გეროლშტაინერი); 7. რობი მაკიუენი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო); 8. ბერნპარდ აიზელი (ავსტრია, ტე-მობილი); 9. მარკ კავენდიში (ბრიტანეთი, ტე-მობილი); 10. პაინრიხ პაუსლერი (გერმანია, გეროლშტაინერი) ყველა იგივე დროში...

კლასიფიკაცია სამი ეტაპის შემდეგ

1. ფაბიან კანჩელერა (შვეიცარია, CSC) 15:12.08; 2. ანდრეას კლოდენი (გერმანია, ასტანა) 0.33; 3. დევიდ მილარი (ბრიტანეთი, სონიე დიუვალ-პროდირი) 0.41; 4. ჯორჯ პინკეიპი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 0.43; 5. ბრედლი უიგინსი (ბრიტანეთი, კოფიდისი) 0.43; 6. ვლადიმირ გუსევი (რუსეთი, დისქავერი ჩენელი) 0.45; 7. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 0.46; 8. ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.46; 9. თორ ჰუსპოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი) 0.49; 10. მიკელ ასტარლოსა (ესპანეთი, უსკალტელ-ეუსკადი) 0.49...



ეროვნული ბიბლიოთეკა

## 11 ივლისი, ოთხშაბათი

### იმედი

04:50 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. 1/2 ფინალი. არგენტინა-მექსიკა (LIVE).

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. 1/2 ფინალი. ბრაზილია-ურუგვაი.
14:05 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლანი-სტ. ეტიენი.
15:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:05 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 ნლების სეზონი. 1/8 ფინალი. მტუტგარტი-ჩელსი. I მატჩი.
17:50 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-რეალი.
19:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. მაფაპაუზენი-ბაიერნი (LIVE).
21:50 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. 1/2 ფინალი. ბრაზილია-ურუგვაი.
23:35 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ჩელსი.
01:20 ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.

### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 მინი-მოედანი.
08:30 სპორტკლუბი.
08:44 ფეხბურთი. 2006-07 ნლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ვალენსია.
10:36 სპორტის ისტორია.
10:49 ბოკეი. NHL. 2006-07 ნლების სეზონის საუკეთესო მატჩები. სტენლის თასი. ნიშეული-სან ხოსე.
13:19 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
13:49 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 2003-04 ნლების სეზონი. ლოკომოტივი-დინამო.
15:30 მინი-მოედანი.
15:49 სპორტის სამყარო.
16:15 სპორტკლუბი.
16:52 ფეხბურთი. 2006-07 ნლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ჰამბურგი.
18:34 სპორტდოსიე. სკეიტინგი.
19:02 ფეხბურთი. 2006-07 ნლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ატლეტიკო.
20:50 ბოკეი. NHL. 2006-07 ნლების სეზონის საუკეთესო მატჩები. სტენლის თასი. ნიუ ჯერსი-ტამპა ბეი.
22:26 აფრისნობა. ამერიკის თასი.
22:55 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. 1966 ნელი. ჩელსი-ლიდსი.
01:11 კრივი.
01:33 სპორტდოსიე. სკეიტინგი.
02:01 ფეხბურთი. 2006-07 ნლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ვალენსია.
03:51 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
04:21 სპორტის სამყარო.
04:51 ფეხბურთი. 2006-07 ნლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ჰამბურგი.
06:33 მინი-მოედანი.
06:50 ფეხბურთი. Barca TV. რონალდინიო.

### EUROSPORT

10:30 ექსტრემალური სპორტი.
11:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.
11:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
12:30 მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრან-პრი. ლოზანა. შვეიცარია.
14:00 ფეხბურთი. დანონის თასი. ლიონი. საფრანგეთი.
14:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. IV ეტაპი (LIVE).
14:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. III ეტაპი.
16:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. IV ეტაპი (LIVE).
19:30 მულტისპორტი.
20:00 აფრისნობა.
20:05 მულტისპორტი.
20:10 ცხენოსნობა. სუპერლიგა. აახენი. გერმანია.
21:10 ცხენოსნობა. ფოკეების კლუბი.
21:15 მულტისპორტი.
21:20 გოლფი. US PGA-ის ტური.
22:20 გოლფი. ევროპის ტური. ევროპის ღია. ირლანდია.
22:50 გოლფი. ჩელენჯტური.
23:20 გოლფ-კლუბი.
23:25 აფრისნობა.
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
01:00 მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრან-პრი. ლოზანა. შვეიცარია.
02:00 მულტისპორტი.
02:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. IV ეტაპი.

### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
13:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. იტალია-იაპონია. იტალია.
17:00 მულტისპორტი.
18:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
19:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). აშშ-ის საფეხბურთო ლიგა. ფლეი ოფი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.
21:00 სერფინგი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 მულტისპორტი.
22:30 ტამბერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია.
23:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ლატვიის გრანპრი.
00:00 პრო-რესტლინგი.
01:30 მულტისპორტი.
02:00 ახალი ამბები.
03:45 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-ნლამდელები). ჯგუფური ეტაპი. კანადა (LIVE).
05:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-ნლამდელები). ჯგუფური ეტაპი. კანადა (LIVE).
05:45 ახალი ამბები.



ჩემპიონი

# შემდეგი პოლიფილდია?



ვლადიმირ კლიჩკო

კრივში ზემძიმე წონაში ორი გაერთიანების, IBF-ისა და IBO-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა, უკრაინელმა **ვლადიმირ კლიჩკომ** უარჰყო ხმები იმის თაობაზე, რომ ვითომ, ამერიკელ **ლეიმონ ბრიუსტერთან** ამასწინდელ ბრძოლაში, მან ხელი მოიტეხა.

შეგახსენებთ, რომ კლიჩკომ ბრიუსტერს ექვსი რაუნდის განმავლობაში დაუნდობლად სცემა, რის შემდეგაც, ამერიკელის მწვრთნელმა ბრძოლის შეწყვეტა ითხოვა. ბრძოლის შემდეგ კი უკრაინელის მწვრთნელის ასისტენტმა **ჯამენ ალი ბაშირმა** რეპორტიორებთან საუბრისას განაცხადა, ვლადიმირმა ბრძოლისას მარჯვენა, ელის შუა თითი მოიტეხაო.

"ვერ გამიგია, ვინ რა იცის ჩემი ხელების შესახებ და რატომ ლაპარაკობენ ამდენ სისულელეს? თითი არ მომიტეხავს. მართალია, ცოტა შემისივდა, მაგრამ სერიოზული ტრავმა არ მაქვს. ცოტა ხანში გამოვლის და ისევ მწყობრში ვიქნები. კრივი ისეთი სპორტია, ბრძოლის შემდეგ ხელები ხშირად გვისივდება ხოლმე, მაგრამ ამის გამო პანიკას არასოდეს ვეძლევით", - საატელეფონო ინტერვიუში განაცხადა კლიჩკომ.

სხვათა შორის, ბრიუსტერი მეოთხე მოკრივეა, რომლებიც უკრაინელმა გაჩემპიონების შემდეგ დაამარცხა. ამასთან, მან ყველა მეტოქეს შვიდ რაუნდზე ნაკლებში, ნოკაუტით მოუგო.

ამერიკულ სპორტულ გამოცემა "სპორტს ილუსტრეიტიდის" ინფორმაციით, არაა გამორიცხული, რომ კლიჩკომ მომდევნო მეტოქედ **ევანდერ ჰოლიფილდი** აირჩიოს. ყოველ შემთხვევაში, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, ვინც ახლა 45 წლისა, უკრაინელთან ბრძოლით დაინტერესებას ავლენს. შეგახსენებთ, რომ პროფესიულ რინგზე დაბრუნების შემდეგ, ბოლო ორ სეზონში ჰოლიფილდმაც ოთხი ბრძოლა გამართა და ყველა მოიგო.

კლიჩკოს ჰოლიფილდთან შეხვედრის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. უფრო მეტიც, ის არ გამორიცხავს, რომ ტიტულის შემდგომი დაცვა შეიძლება სწორედ ევანდერთან სცადოს. მაგრამ ის დასძენს, რომ ურჩევნია, თუ რომელიმე სხვა პრესტიჟული გაერთიანების ჩემპიონს შეხვდება.

ცნობისთვის, ამ ეტაპზე, მოლაპარაკება მიმდინარეობს WBO-ის ჩემპიონ **სულთან იბრაგიმოვსა** და WBA-ის ჩემპიონ **რუსლან ჩაგაევს** შორის, თუ ისინი შეთანხმებას მიაღწევენ, მაშინ მათი ტიტულების გამაერთიანებელი ბრძოლა ალბათ ოქტომბერში ჩატარდება. ჰოდა, კლიჩკო ამბობს, რომ ამ ბრძოლის გამარჯვებულთან შეხვედრა მისთვის პრიორიტეტულია.

ჩვენ ერთი ჩემპიონი გვჭირდებაო, - ამბობს უკრაინელი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



### ფეხბურთი

**აზიის თასი**

| | |
|---|---|
| მალაიზია-ჩინეთი | 1:5 |
| ინდონეზია-ბაჰრეინი | 2:1 |

**ამხანაგური მაჩაჩები**

| | |
|---|---|
| კოგბასი-ენიმონი | 1:0 |
| ლუნგბუ-ოლბენე | 0:4 |
| დელეგონი-კონაკრდა | 2:1 |
| ანიგრანტი-დინამო (ბუქ) | 1:3 |
| კოპენაგენი-შალკე | 2:2 |
| გალათასარაი-ანდერლეხტი | 1:0 |
| ბაზელარი-პოფენაიმი | 2:0 |
| ოლდენბურგი-ვერდერი | 0:6 |
| იანგ ბოიზი-დორტმუნდი | 0:0 |
| არაუ-ბილი | გადაიდო |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ბიოგენორგი-ელსინბორგი | 0:0 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ლინცერი-აუსტრია ს.ი | 1:0 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| გალვეი-კორკი | 1:2 |
| შელბორნი-უოტერფორდი | 2:0 |

**უკრაინა**

**სუპერთასი**

| | |
|---|---|
| დინამო-შახტარი | 2:2, პენ. 4:2 |

### ჩოგბურთი

**ATP. ბაშკალი**

| | |
|---|---|
| საბალეტა-შჩუკინი | 1:6, 6:1, 5:7 |
| მონაკო-გულბისი | 7:6, 3:6, 6:4 |
| სიმონი-ტროიცკი | 6:2, 6:3 |
| ერნანდესი-ტ. იოპანსონი | 4:6, 4:6 |
| ბერლოკი-გორანსონი | 6:2, 6:0 |
| ბიორკმანი-პრსიეჟნი | 5:7, 6:2, 6:4 |
| ვერდასკო-ტვეიტი | 7:5, 6:1 |
| სიოდერლინგი-ბოლელი | 6:3, 6:3 |
| ფერერი-გარსია ლოპესი | 6:2, 6:1 |

**ATP. გშკალი**

| | |
|---|---|
| ჟიკელი-ჰარტფილდი | 6:3, 7:6 |
| ფ. ლოპესი-კრატოხვილი | 6:2, 6:3 |
| მატიო-როიტმანი | 7:6, 6:4 |
| სტარაჩე-ჰაიეკი | 7:6, 6:1 |
| ეშაუერი-ლამერი | 6:2, 4:6, 6:2 |
| შტეპანეკი-ჩილიჩი | 7:5, 6:3 |

**ATP. ნიუპორტი**

| | |
|---|---|
| ბოგდანოვიჩი-უდომჩოკე | 3:6, 6:3, 0:6 |
| ბრაჩიალი-ჯენკინსი | 2:6, 1:6 |
| ნორმანი-ისნერი | 7:6, 6:3 |
| ბოჟოლიაკი-არმიტრაჟი | 6:3, 3:6, 3:6 |
| კუნიცინი-ზვერევი | 1:6, 6:2, 1:6 |
| ფიში-ქიურეში | 3:6, 4:6 |
| დუპუი-ეკონომიდისი | 6:4, 6:3 |
| ჰილი-ლევინი | 6:1, 6:0 |
| კიფერი-კაპდევილე | 6:7, 6:4, 5:7 |



ტურნირები

**შვედეთის ღია**

ბაშკალი (შვედეთი). თიხნარი
**საპრიზო ფონდი: 353 450 ევრო**

**I ნრე**

ლუის ორნა (პერუ)-ტომი რობრედო (ესპ) 6:1, 1:6, 6:1; კარლოს მოია (ესპ, 4)-ივან ნავარო პასტორი (ესპ) 6:2, 6:4; ნიკოლას მასუ (ჩილე)-ევგენი კოროლიოვი (რუს) 4:6, 6:3, 6:4; ლუკაშ დლუში (ჩეხ)-მიკაელ რიდერსტედტი (შვედ) 6:1, 6:4; ნიკოლას ალმაგრო (ესპ)-ფილიპ პრპიჩი (შვედ) 6:1, 3:6, 6:1; ოლივიე როხუსი (ბელ)-იარკო ნიემინენი (ფინ, 3) 6:4, 6:2; ფილიპო ვოლანდრი (იტა, 5)-ფედერიკო ლიუცი (იტა) 4:6, 7:5, 6:1.

**შვეიცარიის ღია**

გშტაადი (შვეიცარია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი: 421 250 ევრო**

**I ნრე**

ფილიპ კოლშრაიბერი (ნერ, 4)-იან ჰერნიხი (ჩეხ) 7:6(0), 7:6(3); კრისტოფ ვლიეგენი (ბელ)-გასტონ გაუდიო (არგ) 6:4, 6:7(3), 6:4.

**Campbell's Hall of Fame**

ნიუპორტი (აშშ). ბალახი
**საპრიზო ფონდი: 416 000 დოლარი**

**I ნრე**

ფრენკ დანჩევიჩი (კან)-კევინ კიმი (აშშ) 6:3, 6:3; როკო კარანუშიჩი (ხორ)-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს, 6) 6:4, 6:3; უესლი მუდი (ს. აფრ)-ტიაგო ალვეში (ბრა) 6:3, 6:4; ვინსენტ სპეიდი (აშშ, 2)-ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 6:4, 6:3; მიხაელ ბერერი (გერ, 8)-კრის გუჩიონე (ავსტრა) 6:4, 7:6(5).



## უოკერს იარაღით დაემუქრნენ

ამერიკული პოლიციის ინფორმაციით, გუშინ "მაიამი ჰიტის" თავდამსხმელის **ანტუან უოკერის** სახლი გაქურდეს.

გავრცელებული ცნობით, ორი ბანდიტი უოკერის სახლში შეიჭრა, კალათბურთელს ცეცხლსასროლი იარაღით დაემუქრა და შემდეგ სახლი გაქურდა. კალათბურთელის აგენტმა **მარკ ბარტელსტეინმა** ეს ფაქტი დაადასტურა, მაგრამ დეტალების გამხელისგან თავი შეიკავა.

*"უოკერს ყველაფერი წესრიგში აქვს. მისი სახლი გაქურდეს და ახლა პოლიცია გამოძიებას აწარმოებს"*, - მხოლოდ ასეთი კომენტარი მისცა პრესას ბარტელსტეინმა.

## აივერსონი 260 ათასს გადაიხდის

სასამართლოს გადაწყვეტილებით, "დენვერ ნაგეტსის" ვარსკვლავს **ალენ აივერსონს** 260 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს ვინმე **მერლინ გოდფრისთვის**, რომელიც კალათბურთელის პირადმა მცველმა ერთ-ერთ ღამის კლუბში სცემა.

სასამართლომ დაადგინა, რომ აივერსონი და მისი მცველი, **ჯეისონ კეინი** მორალური კომპენსაციის სახით 250 ათას დოლარს გადაიხდიან და ამ თანხას მკურნალობისთვის საჭირო 10 ათას დოლარსაც დაამატებენ. თავდაპირველად, გოდფრი ზიანის ასანაზღაურებლად 20 მილიონს ითხოვდა, მაგრამ ახლა 260 ათასით მოუწევს დაკმაყოფილება.

თავად აივერსონი თვლის, რომ *"ამ ადამიანმა, უბრალოდ, ფულის იოლად შოვნა გადაწყვიტა, რომელიც მე ჩემი ოფლითა და სისხლით მაქვს მოპოვებული"*.

პოკერი

## აილენდერსს მცველები აინტერესებს

"ნიუ იორკ აილენდერსის" გენერალური მენეჯერი **გარტ სნოუ** დაცვის გაძლიერებაზე ზრუნვას იწყებს. სააგენტო "როიტერის" ცნობით, "კუნძულელთა" სავარაუდო ახალბედების სიაში მოხვდნენ **დანილ მარკოვი, ვიტალი ვიშნევსკი, შელდონ სურეი** და **ოსი ვაანანენი**. გარდა ამისა, გამორიცხული არ არის "აილენდერსში" დაბრუნდნენ ამ გუნდის ყოფილი მცველები - **ბრაიან ბერარი** და **ბრაიან მაკეიბი**.

ყველაზე რეალურად რუსი მარკოვის ტრანსფერი ჩანს, ვინაიდან, ამ უკანასკნელმა არ ისურვა თავის ამჟამინდელ კლუბთან, "დეტროიტი რედ უინგზთან" კონტრაქტის გაგრძელება.

■ ■ ■

როგორც ცნობილია, გასულ კვირას "აილენდერსის" ახალწვეული, ვეტერანი ფორვარდი **ბილ გერინი** გახდა. "კუნძულელთა" ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა 36 წლის ჰოკეისტის გამოცდილება და ის გუნდის ახალ კაპიტნად დანიშნა.

გერინი "აილენდერსის" ისტორიაში მე-11 კაპიტანი იქნება. შეგახსენებთ, რომ ბოლო ორი სეზონი, ამ მისიას რუსი ფორვარდი **ალექსეი იაშინი** ასრულებდა, რომელსაც კლუბმა კონტრაქტი გაუწყვიტა.

## დალასმა ფორვარდი დაიმაგა

"ფილადელფია ფლაიერზის" მარცხენა ფრთა **ტოდ ფედორუკი** ერთი წლით "დალას სტარზში" გადავიდა. მომავალ სეზონში ეს თავდამსხმელი 875 ათასი დოლარს მიიღებს.

*"იმედი გვაქვს, რომ ტოდი ჩვენს შეტევით ხაზს მეტ აგრესიულობას შესძენს"*, - ამბობს "დალასის" გენერალური მენეჯერი **დუგ არმსტრონგი**.

28 წლის ფედორუკმა NHL-ში 354 მატჩი ჩაატარა, თუმცა საკმაოდ მოკრძალებული სტატისტიკური მონაცემები აქვს: 17 გოლი და 48 შედეგიანი პასი.

## დრეიკი დეტროიტში ჩაირიცხა

"დეტროიტ რედ უინგზის" გენერალურმა მენეჯერმა **კენ ჰოლანდმა** განაცხადა, რომ მისმა კლუბმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა "სენტ ლუის ბლუზის" თავდამსხმელ **დალას დრეიკთან**. ჰოლანდს გარიგების ფინანსური დეტალები არ გაუმხელია.

მომავალი სეზონი დრეიკისთვის მე-15 იქნება ჰოკეის ეროვნულ ლიგაში. ამ ძალისმიერმა ფორვარდმა 944 მატჩში 174 გოლი, 297 შედეგიანი პასი და 844 საჯარიმო წუთი დააგროვა.

ფორმულა 1

## ალონსო ჰემილტონს ემუქრება

ბრიტანეთის გრან-პრის შემდეგ, "მაკლარენის" ესპანელმა პილოტმა **ფერნანდო ალონსომ** ინტერვიუ მისცა გაზეთ AS-ს, სადაც განაცხადა, რომ ის ნელ-ნელა ამცირებს ჩამორჩენას თანაგუნდელ **ლუის ჰემილტონთან** და დარწმუნებულია, რომ საბოლოო ჯამში, ახალგაზრდა ბრიტანელ პილოტს უკან მოიტოვებს.

შეგახსენებთ, რომ "სილვერსტოუნის" ტრასაზე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა მეორე ადგილი დაიკავა და 36 წამით გაუსწორო ჰემილტონს. ამან ალონსოს საშუალება მისცა, საერთო ჩათვლაში თანაგუნდელთან 14-ქულიანი ჩამორჩენა 12 ქულამდე დაეყვანა.

*"ჩამორჩენა არც თუ ისე დიდია. უკვე კანადის რბოლიდან მოყოლებული, ჰემილტონზე სწრაფი ვარ, მაგრამ ინდიანაპოლისში და მანი-კურზ სხვადასხვა პრობლემების გამო ვერ შევძელი მისი გასწრება, სამაგიეროდ, ახლა ლუისს 30 წამზე მეტი მოვუგე. წინ საინტერესო ეტაპები გველის. გერმანიასა და უნგრეთში ჰემილტონს უნდა გავასწრო და კიდევ უფრო შევამცირო ქულათა სხვაობა. ასევე არ უნდა დავივიწყოთ "ფერარი", რომელიც ახლა ჩვენზე სწრაფია. რომ არა ფელიპე მასას ბოლიდის ტექნიკური პრობლემები, პრაზილიელი შეძლებდა ჰემილტონის გასწრებას"*, - ამბობს ფერნანდო ალონსო.

## რეკორდი სილვერსტოუნზე

ამასობაში ირკვევა, რომ კვირას გამართულმა ბრიტანეთის გრან-პრიმ სარეკორდო რაოდენობის მაყურებელი შეკრიბა. ოფიციალური ინფორმაციით, პარასკევს თავისუფალ პრაქტიკას თვალს ადევნებდა 42 ათასი ადამიანი, შაბათს, კვალიფიკაციამ 80 ათასი მაყურებელი შეკრიბა, ხოლო რბოლას კი, 85 ათასი მაყურებელი დაესწრო. ამან ჯამში 270 ათასი გულშემატკივარი შეადგინა, რაც "სილვერსტოუნის" ყველა დროის რეკორდი გახლავთ.

*"აღფრთოვანებული ვარ იმით, თუ როგორ ჩაიარა ამ სამმა დღემ. ავტოდრომის მომსახურე პერსონალმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ გულშემატკივრებს მაქსიმალური სიამოვნება მიეღოთ. მაყურებელთა დიდი რაოდენობისა და უსაფრთხოების გაძლიერებული ზომების გამო, გარკვეული შეფერხებები მაინც იყო, მაგრამ ამას ზეიმისთვის ხელი არ შეუშლია"*, - ამბობს "სილვერსტოუნის" ავტოდრომის დირექტორი **რიჩარდ ფილიპსი**.

ჩოგბურთი

## ტარპიშჩევი უვიზოდ, რუსეთი შარაპოვას გარეშე

მომავალ უიქენდზე ფედერაციის თასის მეოთხედფინალური ეტაპი გაიმართება. ცენტრალური მატჩი ამერიკის ქალაქ სტოუუში ჩატარდება, სადაც ქალთა ადგილობრივი ნაკრები მოქმედ ჩემპიონს, რუსეთს უმასპინძლებს.

რუსთა ნაკრების კაპიტანი გახლავთ **შამილ ტარპიშჩევი**, მაგრამ შეიძლება ისე მოხდეს, რომ ეს მწვრთნელი გუნდთან ერთად ამერიკაში ვერ ვიხილოთ. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ამერიკელები ტარპიშჩევს ვიზას არ აძლევენ და არც ამ გადაწყვეტილების მიზეზს ასახელებენ.

*"ჩვენი ჩოგბურთელები უკვე შეიკრიბნენ ამერიკაში, მაგრამ მათ არავინ ავარჯიშებს. ეს ნონსენსია. აუცილებლად დავაყენებ ამ საკითხს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციაში"*, - იმუქრება ტარპიშჩევი.

■ ■ ■

ამასობაში, რუსეთის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა **მარია შარაპოვამ** მორიგი უარი შეუთვალა ნაკრების ხელმძღვანელობას და მისი დებიუტი ფედერაციის თასზე კვლავ გადაიდო. მარიამ ამჯერადაც მხარის ტრავმა მოიმიზეზა და ამ მნიშვნელოვან შეხვედრაში თავის გუნდს ვერ დაეხმარება. ნაკრებში შარაპოვას ადგილს მსოფლიოს 58-ე ჩოგანი, **ელენა ვესნინა** დაიკავებს.

ასევე ტრავმის გამო, კითხვის ნიშნის ქვეშ არის ამერიკელების წინააღმდეგ **სვეტლანა კუზნეცოვას** თამაში. მისი საკითხი უახლოეს ორ დღეში გაირკვევა და თუ კუზნეცოვა ვერ მოასწრებს გამოჯანმრთელებას, მის ნაცვლად გუნდში 19 წლის **ალა კუდრიავცევა** ჩაირიცხება. შეგახსენებთ, რომ მათ გარდა, ტარპიშჩევმა ნაკრებში **ნადეჟდა პეტროვა** და **ანა ჩაკვეტაძე** მიიწვია. სავარაუდოდ, სწორედ ისინი ითამაშებენ ერთეულთა თანრიგში.

რაც შეეხება ამერიკის ნაკრებს, ის უძლიერესი შემადგენლობით ხვდება რუსებს. 14-15 ივლისს, მასპინძელთა რიგებში ითამაშებენ **სერენა** და **ვენუს უილიამსები, ლიზა რეიმონდი** და **ვანია კინგი**.

დევეინ ჯორჯი

NBA. ახალი ამბები

# ვარსკვლავების დრო ჯერ არ მოსულა

დიდი გაქანებისა და პოტენციალის მქონე მოთამაშეებზე ნადირობა დროებით შეწყვეტილია, მანამდე კი ოკეანისგაღმეთის ზელიგაში კონტრაქტებს მეორე ეშელონის წევრებს უფორმებენ. ზოგი თავის ძველ გუნდში დარჩა, ზოგსაც ახალი, წინაზე სარფიანი პირობები შესთავაზეს. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, წამსვლელ-დარჩენილებზე გადავიდეთ.

### დალას მავერიქსი

ტეხასელებმა ერთ-ერთი საკვანძო სათადარიგო მოთამაშეზე, ფორვარდი **დევეინ ჯორჯი ერთი წლითაც შეინარჩუნეს და ახალი კონტრაქტით მას 2.4 მილიონს გადაუხდიან.**

ჯორჯმა 2 კვირის წინათ, "მავერიქსს" გრძელვადიან ხელშეკრულებაზე უარი განუცხადა, რადგან "ლეიკერსის" ყოფილ წევრს კონტრაქტის საერთო ღირებულება (წლიურად 3 მილიონი) არ აწყობდა. ერთი წლის მერე, დევეინი თავისუფალი აგენტი გახდება, რის გამოც "დალასთან" ამჯერად მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმება ორივე მხარისთვის მისაღები აღმოჩნდა.

"დალასის" საკალათბურთო ოპერაციების პრეზიდენტმა **დონი ნელსონმა აღნიშნა - ჩვენი მიზანი, ისევ და ისევ, ჩემპიონობაა, რის გამოც გუნდმა არა მარტო ვარსკვლავები, არამედ სათადარიგოთა შორის ყველაზე საკვანძო წევრებიც უნდა შეინარჩუნოსო.**

როგორც იცით, "მავერიქსმა" რამდენიმე დღის წინათ გრძელვადიანი კონტრაქტით დაიტოვა **ჯერი სტექჰაუზი და თუ იმავე ნელსონს ვენდობით, იგივე ოპერაცია ჩატარდება კიდევ ერთ ფორვარდთან,** ოსტინ კროშირთან **მიმართებაშიც.**

ჯორჯი, რომელიც ერთ თვეში 30 წლის გახდება, შარშან 60 მატჩში (17-ჯერ სასტარტოში) გავიდა მოედანზე და საშუალოდ 6.4 ქულასა და 3.6 მოხსნას აგროვებდა.

### იუტა ჯაზი

დასავლეთის ფინალისტი სულ მალე **მორის პიტერსონთან** გააფორმებს კონტრაქტს. ფორვარდი სოლტ ლეიკ სიტიშია, სადაც უკვე გაესაუბრა "ჯაზის" გენერალურ მენეჯერს, **კევინ ოკონორს** და მისივე თქმით, წინასწარი კონტრაქტიც გააფორმა. ხელშეკრულებისთვის ოფიციალური სახის მიცემამდე, მოთამაშემ სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროს.

ჯორჯის არ იყოს, ერთ თვეში პიტერსონიც 30 წლის გახდება. მისი თქმით, "ჯაზის" გარდა მისით "დეტროიტი", "კლივლენდი", "ნიუ ორლეანი", "მაიამი" და "ტორონტო" იყვნენ დაინტერესებულნი, თუმცა მორისმა უპირატესობა მაინც "იუტას" მიანიჭა.

პიტერსონს მთელი თავისი 7-წლიანი კარიერა "ტორონტო რეპტორზის" შემადგენლობაში აქვს გატარებული და ამ დროში იგი ერთ მატჩში საშუალოდ 12 ქულას, 3.9 მოხსნას, 1.9 შედეგიან გადაცემასა და 1.06 ჩაჭრას უყრიდა თავს. მისი სტატისტიკა შარშან გაუარესდა - მორისი მოედანზე მხოლოდ 21.4 წუთს ატარებდა და ოდენ 8.9 ქულას აგროვებდა. და ეს მაშინ, როდესაც ერთი წლით ადრე, მან კარიერის რეკორდები დაამყარა ქულებში (16.8), მოხსნებში (4.6), ჩაჭრებსა (1.35) და წუთებში (38.2).

დამდეგ რეგულარულში, "იუტას" მოქმედ ჩემპიონ "სან ანტონიოსთან" და "დალასთან" ერთად, საუკეთესო გუნდად მიიჩნევენ. პიტერსონის დამატებით "ჯაზი" კიდევ უფრო სოლიდური გახდება. **ჯერი სლოუნს** ჰყავს კარლოს ბუზერი, დერონ უილიამსი, ანდრეი კირილენკო, მეჰმეთ ოქური და უნიჭიერესი ფორვარდი, შარშანდელი სეზონის აღმოჩენა **პოლ მილსეპი.** ახალი კონტრაქტით პიტერსონი სავარაუდოდ 3 წლის განმავლობაში 18 მილიონს მიიღებს.

### გოლდენ სტეიტ უორიორზი

კალიფორნიული გუნდის ფლეი ოფში გაყვანისა და იქ პირველად განთესილი "დალასის" დამარცხების მერე, "გოლდენ სტეიტის" მთავარი მწვრთნელი **დონ ნელსონი გუნდის მფლობელებისგან ჯამაგირის მომატებას ითხოვს.**

დონ ნელსონმა შარშან აპენდიციტის ოპერაცია გაიკეთა, რის მერეც გამოცდილმა სპეციალისტმა ჯერ ძალიან დაიკლო წონაში, შემდეგ კი პირიქით, მაშინვე აკრიფა კილოგრამები და ერთი თვით საავადმყოფოშიც კი დაანვინეს. ექიმებმა მას რეჟიმის მკაცრად დაცვა ურჩიეს, თუმცა საბოლოო დიაგნოზი მასმედიას მაინც არავინ გააცნო.

ნელსონი აცხადებს, აღარაფერი მაწუხებს, თავს მშვენივრად ვგრძნობ და თუ ცოტათი მაინც წამახალისებთ, წლიურად სადღაც 2-3 მილიონს თუ მომიმატებთ, ჩემი მუშაობა მერე ნახეთო.

ბებერ სპეციალისტს დღევანდელი ხელშეკრულებით წლიურად 3.1 მილიონი ეკუთვნის, ნელსონს კი სურს, რომ ეს თანხა მინიმუმ 5 მილიონამდე გაიზარდოს.

"მეომრებს" წლეულს შარშანდელი შედეგის გამეორება მაგრად გაუჭირდებათ. ჯერ ერთი, საკმაოდ გაძლიერდა "პორტლენდი", ანუ გუნდი, რომელიც შარშან ფლეი ოფიში ვერ მოხვდა, ხოლო ისინი, ვინც რვა საუკეთესოში გავიდა ("სპურსი", იუტა", "მავერიქსი", "როკეტსი", "სანზი", "ნაგეტსი", "ლეიკერსი") წლეულსაც არ დათმობს პოზიციებს. მადაზე მოვა **ელტონ ბრენდის** "კლიპერსიც" და **კევინ გარნეტის** "ვულვზიც". ასე რომ, ნელსონისა და მისი გუნდის ფლეი ოფში გაღწევა ურთულესი საქმე იქნება. მითუმეტეს, რომ გუნდმა დაკარგა **ჯეისონ რიჩარდსონი,** რომელიც "შარლოტში" გადავიდა. გასარკვევია გუნდის ლიდერის, **ბაირონ დევისის** საკითხიც. ვარსკვლავ ფლეიმეიქერს "მაიამი" და "ლეიკერსი" ეპატიჟებიან.

**ზურაბ თალაკვაძე**


ქართული ბიბლიოთეკა

**სპორტული გაზეთი**

მთავარი რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

დირექტორი
**პაატა გელაშვილი**

რედაქტორები
**მამუკა ჩიხლაძე**
**გია თვალაგეიშვილი**

ქართული სპორტი
**ნიკოლოზ ნეფარიძე**
**პაატა თოთაძე**
**მერაბ მამულაშვილი**
**დავით ცაგაძე**
**ლევან ჯანიზაშვილი**
**გია ტუხაშვილი**
**დავით თავართქილაძე**
**ირაკლი თავაძე**
**ვაჟა სიმონიშვილი**
**ზვიად შათირიშვილი**
**კოგა ხატისაშვილი**
**გესიკ ჯანგავაძე**

უცხოური სპორტი
**შალვა გიგილაშვილი**
**გოგა ახალაძე**
**გოტფრიდ ლენცი**
**ილია ნიკოლაიშვილი**
**მერაბ ლორთქიფანიძე**
**დავით ჩუგინიძე**
**ზურაბ თალაკვაძე**

რეგიონული კორესპონდენტები:
**დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი**

ფოტო
**ალექსანდრე კოტორაშვილი**
**ნუგზარ სუარიძე**

ტექნიკური რედაქტორი
**მიხეილ ჯაში**

ტექნიკური ჯგუფი:
**მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით ჭალუტაშვილი, კოგა გელაშვილი**

კორექტორა
**ლელა ხომასურიძე**
**ლევან გიგილაშვილი**

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
**დავით მაისურაძე** (დირექტორის მოადგილე), **გივი ვეშაგიძე, ქეთევან დიდგორიძე**

მარკეტინგის სამსახური
**თამარ ჯიშკარიანი** (ტ: 46 34 48)
**გაქარ გაჩეჩილაძე** (ტ: 899 91 87 17)
**შალვა ეგანოიძე**

**პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელნოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.**

**2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".**

**სპორტი**

**გამოდიოდა 2002-06 წლებში.**

ლელოს მთავარი რედაქტორები:
**მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 64-76)
**ერემო მახათაძე** (1952-53)
**ირაკლი უგულავა** (1953-64)
**ანზორ ბასილაია** (1976-83)
**არჩილ გოგელია** (1984-85)
**თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან)

**დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია**

პარტნიორი:
**საქართველოს ოლიმპიური ფონდი**

მისამართები
**მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი**
**ტელეფონი:** 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
**ახმეტელის 10ª, 0159 თბილისი**
(დილიმი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
**ფაქსი:** +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

**გამოდის ყოველდღე. გარდა კვირისა**